დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ალტე უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

2026 წლის 22 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

2026 წლის 15 ივლისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა....6
III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი....13
IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 15
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან....15
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 28
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 37
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა....41
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 50

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ალტე უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	202192643
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მიკუს დუბიკისი, რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლატვია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, ვებსტერის უნივერსიტეტი, Inc., საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთი ცხადაძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ელენე ჯღარკავა, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მხეიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, შპს, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ბიზნესის ადმინისტრირება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Business Administration
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	VI საფეხური, ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობითად აკრედიტებული/ ახლად შემოთავაზებული/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, უსდ-ის მიერ	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ალტე უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სფეროში. პროგრამა ითვალისწინებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭებას. ის ხორციელდება ინგლისურ ენაზე და მოიცავს 180 ECTS კრედიტს. პროგრამა შემუშავებულია იმ მიზნით, რომ მოამზადოს კურსდამთავრებულები თანამედროვე ბიზნესის ადმინისტრირებისათვის შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით, მათ შორის მენეჯმენტის, ფინანსების, მარკეტინგის, ანალიტიკის, ლიდერობის, კომუნიკაციის, ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების, ციფრული ტექნოლოგიებისა და მონაცემებზე დაფუძნებული ბიზნესგადაწყვეტილებების მიღების მიმართულებებით.
პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან, მათ შორის ინოვაციებთან, ინტერნაციონალიზაციასთან, საზოგადოებრივ წვლილსა და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გამოყენებასთან. პროგრამა მიმართულია საერთაშორისო ბიზნესგანათლებასა და შრომის ბაზრის საჭიროებებზე. იგი ასევე ასახავს ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე ტენდენციებს, მათ შორის დიგიტალიზაციას, ბიზნესანალიტიკას, ხელოვნურ ინტელექტს, ინოვაციებს, პროექტების მართვასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.
პროგრამა ახალია და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის განხორციელებისთვის მზაობა თვითშეფასების ანგარიშის, პროგრამის დოკუმენტაციის, სასწავლო კურსების სილაბუსების, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტების, პერსონალის დოკუმენტაციის, წარმოდგენილი დანართებისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეაფასა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი 2026 წლის მაისს ჩატარდა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან გამართა შეხვედრები. ექსპერტთა ჯგუფს ინტერვიუები ქონდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელობასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან.
ვიზიტმა ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მისცა, გადაემოწმებინა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია, დაეზუსტებინა პროგრამის დიზაინსა და განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები და შეეფასებინა უნივერსიტეტის მზაობა ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის განსახორციელებლად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროგრამის მიზნებს, პროგრამის სწავლის შედეგებს, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს, სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, შეფასების მექანიზმებს, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებს, ადამიანურ რესურსებს, მატერიალურ რესურსებს, ფინანსურ მდგრადობასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შორის შესაბამისობას.
ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ზოგადად თანამშრომლობისთვის მზად იყვნენ და წარმოადგინეს განმარტებები პროგრამის დიზაინის, მიღების პროცედურების, პერსონალის ჩართულობის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, სტუდენტთა მხარდაჭერის, კვლევითი შესაძლებლობებისა და პროგრამის განვითარების პროცესის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით შესწავლილმა ინფორმაციამ ხელი შეუწყო პროგრამის განხორციელებისთვის ინსტიტუციური მზაობის შეფასებას.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა, ზოგადად, აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს. პროგრამა ახლად ინიცირებულია და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა; შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის განხორციელებისთვის მზაობა შეაფასა თვითშეფასების ანგარიშის, პროგრამის დოკუმენტაციის, სასწავლო კურსების სილაბუსების, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტების, პერსონალის დოკუმენტაციის, წარმოდგენილი დანართებისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრამას აქვს მკაფიო ორიენტაცია თანამედროვე ბიზნესის ადმინისტრირების განათლებაზე, მათ შორის ანალიტიკაზე, გაციფრულებაზე, ინტერნაციონალიზაციაზე, ხელოვნურ ინტელექტზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებასა და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებაზე. ამავდროულად, პროგრამის განხორციელებამდე და განხორციელების პროცესში რამდენიმე მიმართულება საჭიროებს დამატებით გაუმჯობესებას.

სტანდარტი 1 – საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი პროგრამასთან შესაბამისობა – სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისად შეფასდა. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები აქტუალურია, ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებულია და შეესაბამება სწავლების საფეხურს, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს, დაწესებულების მისიასა და შრომის ბაზრის საჭიროებებს. პროგრამა თანამედროვე ორიენტაცია აქვს ანალიტიკის, გაციფრულების, ინტერნაციონალიზაციისა და პრაქტიკაზე დაფუძნებული ბიზნესგანათლების მიმართულებით. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და, ზოგადად, ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამავდროულად, პროგრამისთვის კარგი იქნებოდა მისი გამორჩეული პროფილის უფრო მკაფიო ფორმულირება, შერჩეული პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვადობის გაძლიერებით, სასწავლო გეგმის ფარგლებში ანალიტიკური, ციფრული და გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციების პროგრესიის უფრო მკაფიოდ უზრუნველყოფით, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებს, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს, სწავლა-სწავლების აქტივობებს, შეფასების დავალებებსა და პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების აქტივობებს შორის უფრო აშკარა შესაბამისობის წარმოჩენით.

სტანდარტი 2 – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისად შეფასდა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ზოგადად, რელევანტური, გამჭვირვალე და შესაბამისია ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამისთვის. პროგრამა მოიცავს სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვან მეთოდებს, პრაქტიკაზე ორიენტირებულ დავალებებს, შემთხვევების ანალიზს (case studies), პროექტებს, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე დაფუძნებულ აქტივობებსა და შეფასების კომპონენტებს, რომლებიც შეესაბამება სწავლების სფეროსა და საფეხურს. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს პრაქტიკული, კვლევასთან დაკავშირებული და ტრანსფერული უნარების განვითარების შესაძლებლობებს, სასწავლო კურსების აქტივობების, წერითი დავალებების, კვლევითი კომპონენტებისა და საბაკალავრო ნაშრომის მეშვეობით. ამავდროულად, პროგრამის განხორციელებამდე უნივერსიტეტმა დამატებით უნდა დახვეწოს დავალებები, შეფასების მეთოდები და რუბრიკები ყველა სილაბუსში, გახადოს ისინი მეტად კონკრეტული, გამჭვირვალე და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მოთხოვნებთან მკაფიოდ დაკავშირებული. პროგრამისთვის ასევე სასარგებლო იქნებოდა დამსაქმებელთა ჩართულობის, სტაჟირების ან მასთან გათანაბრებული, სტრუქტურირებული, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობების, აგრეთვე ხელოვნური ინტელექტის, მონაცემთა ანალიტიკისა და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე დაფუძნებული პრაქტიკული დავალებების უფრო სისტემური გამოყენება.

სტანდარტი 3 – სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა – სტანდარტის მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისად შეფასდა. უნივერსიტეტს დანერგილი აქვს სტუდენტთა

მხარდაჭერის მექანიზმები, უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას სასწავლო პროცესის შესახებ, ხელს უწყობს სტუდენტთა მონაწილეობას აკადემიურ და კლასგარეშე აქტივობებში და სთავაზობს კარიერული განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობისა და Erasmus+-ის მობილობის შესაძლებლობებს. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან თავიანთი უფლებების, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ. ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე და მოსალოდნელია საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა, უნივერსიტეტმა უნდა შექმნას საერთაშორისო სტუდენტების აკადემიური, ლინგვისტური, კულტურული და მხარდაჭერის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების სისტემური მექანიზმი. ეს წარმოადგენს იმის საფუძველს, რის გამოც აღნიშნული სტანდარტი შეფასედა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში“ მოთხოვნებთან.

სტანდარტი 4 – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა – სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისად შეფასდა. პროგრამა უზრუნველყოფილია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალით, ადეკვატური ადმინისტრაციული და მხარდამჭერი სტრუქტურებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, საბიბლიოთეკო რესურსებით, ელექტრონული ბაზებით, ციფრული პლატფორმებითა და ფინანსური რესურსებით. პროგრამაში ჩართულია 32 თანამშრომელი, მათ შორის 10 აკადემიური პერსონალი და 22 მოწვეული ლექტორი. პროგრამა მნიშვნელოვნად სარგებლობს მოწვეული პერსონალის ძლიერი პროფესიული ჩართულობით, რაც ხელს უწყობს მის პრაქტიკაზე ორიენტირებულ პროფილს. ამავდროულად, აფილირებული აკადემიური პერსონალის შედარებით დაბალი წილი და მოწვეულ ლექტორებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება საჭიროებს მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობა, უწყვეტობა, სწავლებისა და შეფასების თანმიმდევრულობა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში საკმარისი ჩართულობა. უნივერსიტეტმა ასევე უნდა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის სისტემური ტრენინგები და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა - სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, სწავლის შედეგებზე ორიენტირებული კურსების დიზაინის, უკუკავშირის მიწოდების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კულტურულად მრავალფეროვან საერთაშორისო აუდიტორიაში სწავლების მიმართულებით.

სტანდარტი 5 – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები – სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისად შეფასდა. ალტე უნივერსიტეტს დანერგილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, გამოკითხვებს, მონიტორინგს, პერიოდულ შეფასებას, ბენჩმარკინგსა და შეფასების შედეგების პროგრამის გაუმჯობესებისათვის გამოყენებას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპებზე და მოიცავს შიდა და გარე უკუკავშირის მექანიზმებს. ვინაიდან პროგრამა ახალია, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროგრამის მონიტორინგი, სწავლის შედეგების შეფასება, კოლეგიალური დაკვირვება (peer observation), სწავლების შეფასება და „ციკლის დახურვის“ (closing-the-loop) პრაქტიკები, სისტემურად განხორციელდეს პროგრამის დაწყების შემდეგ.

▪ რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტში კიდევ უფრო გაძლიერდეს სასწავლო პროგრამის დონეზე შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებს, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და პრაქტიკული, კვლევასთან დაკავშირებული და ტრანსფერული უნარების განვითარების აქტივობებს შორის, რათა სასწავლო გეგმის ყველა კომპონენტი მკაფიოდ უწყობდეს ხელს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევას.
2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტში გადაიხედოს ცალკეული კურსების სილაბუსები, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსების სწავლის შედეგების, კურსის შინაარსისა და სწავლა-სწავლების მეთოდების მკაფიო შესაბამისობა პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგებთან, განსაკუთრებით იმ კურსებში, სადაც სწავლის შედეგები ზოგადად არის ფორმულირებული ან სადაც

სწავლების მეთოდებსა და პროგრამისთვის სპეციფიკურ კომპეტენციებს შორის კავშირი საკმარისად თვალსაჩინო არ არის.

3. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პროგრამის განხორციელებამდე გადახედოს და დახვეწოს ყველა სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების დავალებები, შეფასების მეთოდები და რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკრეტულობასა და გამჭვირვალობას, ასევე შესაბამისობას სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან.

4.რეკომენდებულია, უსდ-მ მოახდინოს საერთაშორისო სტუდენტების აკადემიური, ენობრივი, კულტურული და მხარდაჭერის საჭიროებების გამოვლენისა და მათზე რეაგირების პროგრამის დონეზე არსებული მექანიზმის ფორმალიზება და მისი სისტემური დანერგვა.

5. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ არსებული პერსონალის განვითარების სისტემა სისტემატურად მოიცავდეს პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და მიზანმიმართულ მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, სწავლის შედეგებზე ორიენტირებული კურსის დიზაინის, უკუკავშირის მიწოდების, აკადემიური კეთილსინდისიერების და კულტურულად მრავალფეროვან საერთაშორისო აუდიტორიებში სწავლების მიმართულებით.

- **რჩევები**

1. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შემდგომი გაძლიერება მათი გაზომვადობის გაუმჯობესებისა და სასწავლო გეგმის ფარგლებში კომპეტენციების თანმიმდევრული პროგრესიის უზრუნველყოფით, განსაკუთრებით ანალიტიკის, ციფრული ტრანსფორმაციისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებებით.
2. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების პრაქტიკული და საერთაშორისო განზომილებების შემდგომი გაძლიერება ბიზნეს-ანალიტიკის, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების, თანამედროვე ბიზნესტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების, ასევე კულტურათაშორისი კომუნიკაციის, გლობალური ბიზნესგარემოსა და საერთაშორისო თანამშრომლობის კომპეტენციების მეტად ხაზგასმის გზით.
3. სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის განხორციელებამდე განსაზღვროს, თუ როგორ მოხდება შეფასების მტკიცებულებების შეგროვება, ანალიზი და გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.
4. სასურველია, პროგრამის დონეზე სწავლის შედეგებისათვის დამატებით შემუშავდეს გაზომვადი შესრულების ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები (benchmarks), განსაკუთრებით ანალიტიკურ, ციფრულ და გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციებთან დაკავშირებულ მიმართულებებში, რათა ხელი შეუწყოთ სტუდენტთა მიღწევებისა და პროგრამის ეფექტიანობის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შეფასებას.
5. სასურველია, გაგრძელდეს ბიზნესის პრობლემების პრაქტიკული გადაჭრის, მონაცემთა ანალიტიკის, თანამედროვე ბიზნესტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული პირდაპირი და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომების განვითარება, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შემდგომი გაძლიერების მიზნით.
6. სასურველია, სასწავლო გეგმის ფარგლებში, გაგრძელდეს ანალიტიკასთან, ციფრულ ტექნოლოგიებთან, ბიზნეს მოდელირებასთან და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული კომპეტენციების ინტეგრაციისა და პროგრესიის გაძლიერება.
7. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დამატებით გაძლიერდეს მონაცემთა ანალიტიკასთან, ციფრულ ტექნოლოგიებთან, ხელოვნურ ინტელექტსა და მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ინტეგრაცია და პროგრესია, ხოლო სასწავლო კურსების შინაარსი და სასწავლო რესურსები განახლდეს ბიზნესისა და ტექნოლოგიების თანამედროვე განვითარების შესაბამისად.
8. სასურველია, სისტემატურად გადაიხედოს და განახლდეს სილაბუსებში მითითებული სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სრული შესაბამისობა ბიბლიოთეკაში უკვე ხელმისაწვდომ სახელმძღვანელოებსა და სასწავლო მასალების უახლეს გამოცემებთან.

9. სასურველია, უნივერსიტეტმა პირველი სემესტრის განმავლობაში განახორციელოს ჩარიცხული საერთაშორისო სტუდენტების აკადემიური პროგრესის მონიტორინგი და მიღებული შედეგები გამოიყენოს პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმებისა და აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმების დასახვეწად.
10. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს პროგრამის დონის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების სისტემურ ინფორმირებას, წახალისებასა და ჩართულობას კვლევით აქტივობებში, მათ შორის სტუდენტურ კონფერენციებში, კვლევით პროექტებში, კვლევით ჰაბებსა და შიდა დაფინანსების მქონე კვლევით ინიციატივებში, და უზრუნველყოს, რომ აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
11. სასურველია, პროგრამამ განიხილოს ფორმალური სტაჟირების კომპონენტის ან მასთან გათანაბრებული, სტრუქტურირებული, პრაქტიკაზე დაფუძნებული სასწავლო კომპონენტის დანერგვა, რათა სტუდენტებს მიეცეთ თეორიული ცოდნის რეალურ ორგანიზაციულ გარემოში გამოყენების უფრო სისტემური შესაძლებლობები.
12. სასურველია, პროგრამამ უფრო სისტემურად გამოიყენოს ძლიერი დამსაქმებელთა ქსელი პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო აქტივობების განხორციელების, ზედამხედველობისა და შეფასების პროცესში.
13. სასურველია, პროგრამამ გააფართოოს ხელოვნური ინტელექტის პრაქტიკული გამოყენება; ასევე AI-ის მხარდაჭერით ბიზნესის ანალიზის, მონაცემთა ანალიტიკისა და ციფრულ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული დავალებების გამოყენება სხვადასხვა სასწავლო კურსში.
14. სასურველია უნივერსიტეტმა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით დაგეგმოს შეფასების სტანდარტების კალიბრაციის აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს შეფასების კრიტერიუმებისა და შეფასების სტანდარტების ერთგვაროვან ინტერპრეტაციას.
15. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უკუკავშირის თანმიმდევრული დანერგვა ყველა სასწავლო კურსში, რათა სტუდენტებმა დროულად მიიღონ ინფორმაცია არა მხოლოდ საკუთარი შეფასებების შესახებ, არამედ იმის თაობაზეც, თუ რამდენად მიაღწიეს დაგეგმილ სწავლის შედეგებს და როგორ შეუძლიათ საკუთარი აკადემიური შედეგების გაუმჯობესება.
16. სასურველია, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის, მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალის წილი გაიზარდოს პროგრამის მდგრადობის გაძლიერებისა და მოწვეულ პერსონალზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით.
17. სასურველია, გაიზარდოს პროგრამის პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში, საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებასა და აკადემიური მობილობის აქტივობებში, რაც დამატებით შეუწყობს ხელს პროგრამის საერთაშორისო ხილვადობასა და კვლევითი პოტენციალის შემდგომი გაძლიერებას.
18. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სილაბუსების შეფასების სტანდარტიზებული შიდა საკონტროლო სია (checklist), რომელიც მკაფიოდ მოიცავს კონსტრუქციულ შესაბამისობას, შეფასების კრიტერიუმების სიცხადეს, შეფასების ვალიდურობას, აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასა და უკუკავშირის მექანიზმებს.
19. სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო სისტემურად გამოიყენოს კოლეგიალური დაკვირვებისა და სწავლების შეფასების პრაქტიკა, სწავლების ხარისხისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანმიმდევრულობის მხარდასაჭერად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

  არ ეხება

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა აკრედიტაციის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით ალტე უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უნივერსიტეტის კონსტრუქციულ მიდგომას და აღიარებს დამატებით განმარტებებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: პროგრამისა და კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობა; შერჩეულ სილაბუსებში განხორციელებული უახლესი ცვლილებები; შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები; საერთაშორისო სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები; და აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები.

პანელი ნაწილობრივ იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას 1.4 და 1.5 კომპონენტებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს შორის გადაფარვის შესახებ. რეკომენდაციების ფორმულირება დაზუსტებულია დუბლირების შესამცირებლად. თუმცა, პანელი მიიჩნევს, რომ კომპონენტი 1.4 ეხება სასწავლო გეგმის დონის თანმიმდევრულობას, პროგრესს და პრაქტიკული, კვლევასთან დაკავშირებული და გადაცემადი უნარების განვითარების აქტივობების ინტეგრაციას მთელი პროგრამის ფარგლებში, ხოლო კომპონენტი 1.5 ეხება კურსის დონის შესაბამისობას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში. შესაბამისად, ორივე რეკომენდაცია შენარჩუნებულია დაზუსტებული ფორმულირებით.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს უნივერსიტეტის განმარტებებსა და განახლებულ ინფორმაციას კონკრეტულ სილაბუსებთან და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. აღნიშნული ქმედებები დადებითად ფასდება; თუმცა, ჯგუფი ინარჩუნებს 2.4 კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, ვინაიდან შეფასების დავალებების, მეთოდებისა და რუბრიკების სისტემურმა გადახედვამ პროგრამის განხორციელებამდე ყველა სილაბუსი უნდა მოიცვას.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღიარებს საერთაშორისო სტუდენტებისთვის განკუთვნილ არსებულ მხარდამჭერ ღონისძიებებს, ისევე როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობებს. მიუხედავად ამისა, ჯგუფი ძალაში ტოვებს 3.1 და 4.3 კომპონენტებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს (დაზუსტებული ფორმულირებით), ვინაიდან აღნიშნული მიმართულებები პროგრამის დონეზე უნდა იყოს ფორმალიზებული და სისტემურად დანერგილი.

უნივერსიტეტის მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოზიციის განხილვის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა, საჭიროების შემთხვევაში, დააზუსტა შერჩეული რეკომენდაციებისა და ანალიტიკური ნაწილების ფორმულირებები. ჯგუფი არ მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი პოზიცია ქმნის საკმარის საფუძველს რეკომენდაციების გასაუქმებლად ან შესაბამისი კომპონენტებისა და სტანდარტების შეფასების შესაცვლელად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად**

პერსონალი და ხელმძღვანელები

- პროგრამას მთლიანობაში ემსახურება 32 თანამშრომელი, მათ შორის 10 აკადემიური პერსონალი და 22 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალიდან 5 არის პროფესორი, 3 – ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2 – ასისტენტ-პროფესორი.
- 10 აკადემიურ თანამშრომელს აქვს დარგობრივი ცოდნა, ხოლო 6 აკადემიურ პერსონალს აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი შესაბამის დარგობრივ მიმართულებაში. აკადემიური პერსონალიდან 4 აფილირებულია უნივერსიტეტთან. 22 მოწვეული ლექტორიდან ყველაზე წერია, რომ აქვთ დარგობრივი ცოდნა, ხოლო 3-ს აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი შესაბამის დარგობრივ მიმართულებაში.
- აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა არის 10:22, ანუ დაახლოებით 1:2.2. ეს მიუთითებს, რომ პროგრამა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მოწვეულ ლექტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ მოწვეული პერსონალი დადებითად უწყობს ხელს პროგრამის პრაქტიკაზე ორიენტირებულ ხასიათს, მათი შედარებით მაღალი წილი საჭიროებს მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობა, უწყვეტობა, სწავლებისა და

შეფასების თანმიმდევრულობა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში სათანადო ჩართულობა.

- აფილირებული აკადემიური პერსონალის წილი აკადემიურ პერსონალში შეადგენს 10-დან 4-ს , ანუ 40%-ს. პროგრამაში ჩართული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან მიმართებით, აფილირებული აკადემიური პერსონალი შეადგენს 32-დან 4-ს, ანუ 12.5%-ს. ეს შედარებით დაბალი მაჩვენებელი საფუძვლად უდევს ექსპერტთა ჯგუფის რჩევას, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და აფილირებული პერსონალის წილის გაზრდასთან დაკავშირებით.
- პროგრამის პერსონალის პროდუქტიულობა: **სამეცნიერო პუბლიკაციები:** 13, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 9 სტატია და ეროვნულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 4 ნაშრომი; 2021 წელს – 5 პუბლიკაცია; 2023 წელს – 3 პუბლიკაცია. კონფერენციებში წარდგენილი მოხსენებები: 8, მათ შორის (4) საერთაშორისო და (4) ეროვნული სამეცნიერო კონფერენციების ფარგლებში. **კვლევითი გრანტები:** 3.
- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) **ახალი აკადემიური პერსონალი: 9; ახალი მოწვეული პერსონალი: 17.** შენარჩუნების მაჩვენებელი შეადგენს 100%-ს.

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**	**შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1,3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია
2	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია
3	**სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**მეტწილად შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	მეტწილად შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელობა	არ ეხება
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	არ ეხება
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხილეთ ბმული)
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო
რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების შესახებ
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:
რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხასიათდება მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებით, რომლებიც შესაბამისობაშია კვალიფიკაციის საფეხურთან, სწავლის სფეროსთან და უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. პროგრამის მიზნები იმგვარად არის შემუშავებული, რომ კურსდამთავრებულებს თანამედროვე ბიზნესგარემოში ეფექტიანი საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები განუვითარდეთ; აღნიშნული გარემო ხასიათდება გლობალიზაციით, ტექნოლოგიური პროგრესითა და მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებაზე მზარდი დამოკიდებულებით. პროგრამის მიზნები ასახავს პროგრამის მისწრაფებას მოამზადოს კონკურენტუნარიანი პროფესიონალები, რომლებიც შეძლებენ წვლილი შეიტანონ ეკონომიკურ განვითარებასა და ორგანიზაციულ წარმატებაში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის მიზნები სათანადოდ ითვალისწინებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სპეციფიკურ მახასიათებლებს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ანალიტიკური, ლიდერული, სტრატეგიული და ეთიკური კომპეტენციების განვითარებაზე. პროგრამა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს თანამედროვე ბიზნესტენდენციებზე, მათ შორის დიგიტალიზაციაზე, მონაცემთა ანალიტიკაზე, ინოვაციებზე, პროექტების მართვასა და საერთაშორისო ბიზნეს პრაქტიკების გამოყენებაზე. პროგრამის მიზნები გამყარებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით და პასუხობს დამსაქმებელთა მიმდინარე მოლოდინებსა, ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო საგანმანათლებლო განვითარებებს.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ პროგრამის მიზნები დაკავშირებულია შრომის ბაზრის ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებულ კომპეტენციებთან, მათ შორის სტრატეგიულ და ოპერაციულ მენეჯმენტთან, ფინანსურ დაგეგმვასა და ანალიზთან, მონაცემთა ანალიტიკასთან, პროექტების მართვასთან, ციფრულ მარკეტინგთან, მომხმარებელთა ქცევის ანალიზსა და ლიდერობასთან. აღნიშნული კომპეტენციები ასახულია პროგრამის მიზნების მთელ სისტემაში და ხელს უწყობს ისეთი კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ საქმიანობას დინამიურ და ცვალებად ბიზნეს გარემოში.

პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია ალტე უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინოვაციას, ინტერნაციონალიზაციას, საზოგადოებრივ წვლილსა და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გამოყენებას. ეს შესაბამისობა აისახება იმით, რომ პროგრამა აქცენტს აკეთებს კრიტიკული აზროვნების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების, ეთიკური პასუხისმგებლობისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებებზე. პროგრამის ინგლისურ ენაზე სწავლება დამატებით უწყობს ხელს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის განხორციელებას და ემსახურება კურსდამთავრებულების მომზადებას გლობალური და მულტიკულტურული ბიზნეს გარემოსთვის.

პროგრამის მიზნები საჯაროა და დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ოფიციალური საკომუნიკაციო არხების, მათ შორის პროგრამის ვებგვერდისა და შესაბამისი ინსტიტუციური დოკუმენტაციის საშუალებით. აღნიშნული გამჭვირვალობა ხელს უწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას პოტენციური სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან. ვიზიტის ფარგლებში აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელობასთან, სტუდენტებსა და დამსაქმებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პროგრამის მიზნების შესახებ სათანადოდ ინფორმირებული არიან პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაში ჩართული პირები. პროგრამის მიზნები ასახულია სასწავლო გეგმის დიზაინში, სწავლა-სწავლების აქტივობებსა და პროგრამის მართვის პროცესებში, რაც ადასტურებს, რომ ისინი აქტიურად არის გაზიარებული და გააზრებული ძირითადი დაინტერესებული მხარეების მიერ. აღნიშნული ხელს უწყობს პროგრამის მიზნის, კურსდამთავრებულის მოსალოდნელი პროფილისა და სტრატეგიული მიმართულების ერთიან გააზრებას.

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამა შეესაბამება სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ფორმულირებული, რელევანტურია სწავლის სფეროსთვის და შესაბამისობაშია ინსტიტუციურ პრიორიტეტებთან. პროგრამის მიზნები ქმნიან სათანადო საფუძველს პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის.

ამავდროულად, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის მიზნები შეიძლება დამატებით გაძლიერდეს კურსდამთავრებულთა მოსალოდნელი, გამორჩეული კომპეტენციებისა და პროფესიული პროფილის უფრო მკაფიო ფორმულირების საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნები სათანადოდ ასახავს თანამედროვე ბიზნესის განათლების ტენდენციებს, მათ შორის ანალიტიკას, დიგიტალიზაციასა და ინტერნაციონალიზაციას, პროგრამის უნიკალური მახასიათებლებისა და კურსდამთავრებულის პროფილის უფრო მკაფიო წარმოჩენა დამატებით შეუწყობდა ხელს უმაღლესი განათლების ბაზარზე მის პოზიციონირებასა და დიფერენცირებას.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამა აშკარად ორიენტირებულია პრაქტიკაზე დაფუძნებულ განათლებასა და თანამედროვე ბიზნეს კომპეტენციებზე. დამატებითი აქცენტის გაკეთება გამოყენებით სწავლებაზე, მათ შორის რეალური ბიზნესპრობლემების გადაჭრაზე, მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებასა და თანამედროვე ბიზნესტექნოლოგიების, ანალიტიკური ინსტრუმენტებისა და ხელოვნური ინტელექტის გადაწყვეტილებების პრაქტიკულ გამოყენებაზე, კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს პროგრამის მიზნების მიღწევასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდას.

გარდა ამისა, ანალიტიკურ, ციფრულ და გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციებთან დაკავშირებული უფრო მკაფიოდ გაზომვადი ინდიკატორების შემუშავება დამატებით გააძლიერებდა კავშირს პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და შეფასების პროცესებს შორის, ამასთანავე ხელს შეუწყობდა პროგრამის ეფექტიანობის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შეფასებას.

საერთო ჯამში, პროგრამის მიზნები აქტუალურია, კარგად სტრუქტურირებული და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, შრომის ბაზრის საჭიროებებსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო ტენდენციებთან. ისინი ქმნიან მყარ საფუძველს პროგრამის განხორციელებისთვის და, ამავდროულად, იძლევა პროგრამის გამორჩეული პროფილის, პრაქტიკული ორიენტაციის, ახალი ტექნოლოგიების ინტეგრაციისა და გაზომვადი კომპეტენციების განვითარების შემდგომი გაძლიერების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში

[რეკომენდაცები](#).

- არ არის მითითებული.

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[1.1 პროგრამის მიზნები](#)	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ლოგიკურ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან,

კვალიფიკაციის საფეხურთან და ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივ მახასიათებლებთან. სწავლის შედეგები სათანადოდ ასახავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიას, რომლებიც მოსალოდნელია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამის კურსდამთავრებულებისგან; ისინი ქმნიან თანამედროვე ბიზნესგარემოსთვის რელევანტური კომპეტენციების განვითარების ჩარჩოს.

პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია ანალიტიკური აზროვნების, კრიტიკული მსჯელობის, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების, ლიდერობის, კომუნიკაციისა და ეთიკური პასუხისმგებლობის განვითარებაზე. მიზანია კურსდამთავრებულების აღჭურვა იმ უნარებით, რაც აუცილებელია ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისთვის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების ფორმულირებისთვის, ბიზნესის შესაძლებლობების შეფასებისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონტექსტში. სწავლის შედეგები ასევე ასახავს პროგრამის მიზანს, მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებსაც თანამედროვე ბიზნესის გამოწვევებზე რეაგირება თანამედროვე ტექნოლოგიების, მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომებისა და ინოვაციური აზროვნების გამოყენებით შეეძლებათ.

პროგრამის სწავლის შედეგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს მათი შესაბამისობა ბიზნესგანათლების თანამედროვე ტენდენციებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. სწავლის შედეგები მოიცავს ბიზნესის ანალიტიკასთან, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან, მეწარმეობასთან, ლიდერობასა და ბიზნესის პასუხისმგებლიან წარმოებასთან დაკავშირებულ კომპეტენციებს. ამასთანავე, ისინი ხელს უწყობს კურსდამთავრებულების ჩამოყალიბებას, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტიანად ფუნქციონირება დინამიურ და სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში, ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აღნიშნავს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით და პროგრამის მიზნებთან თანმიმდევრულ კავშირშია. პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობა აშკარაა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის საერთო დიზაინის თანმიმდევრულობას და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა განსაზღვრული პროფილის მიღწევას.

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებს. სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ფორმულირებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის სფეროს მოთხოვნებს. ისინი ქმნიან სათანადო საფუძველს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მოსამზადებლად, რომლებსაც შეუძლიათ როგორც პროფესიული საქმიანობის გაგრძელება, ისე განათლების შემდგომ საფეხურებზე გადასვლა.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები სათანადოდ მოიცავს თანამედროვე ბიზნესგარემოსთვის აქტუალურ ანალიტიკურ, ტექნოლოგიურ, სტრატეგიულ და მენეჯერულ კომპეტენციებს. შერჩეული სწავლის შედეგების შემდგომი დახვეწა უფრო კონკრეტული და ისეთი ფორმულირებების გამოყენებით, რომლებზე დაკვირვებაც შესაძლებელია - დამატებით შეუწყობდა ხელს შეფასების პროცესებსა და სტუდენტთა მიღწევების მონიტორინგს.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დიგიტალიზაციას, ანალიტიკასა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ბიზნესპრაქტიკებს. არსებობს შესაძლებლობა, რომ სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს ბიზნესის ანალიტიკასთან, მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებასთან, თანამედროვე ბიზნეს-ტექნოლოგიებსა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული კომპეტენციების პრაქტიკული გამოყენება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამის პრაქტიკაზე ორიენტირებულ მიდგომასა და შრომის ბაზრის ცვალებად მოლოდინებთან მის შესაბამისობას.

ამასთან, სწავლის შედეგები ხასიათდება ლოგიკური სტრუქტურით, რომელიც ხელს უწყობს კომპეტენციების განვითარებას. სასურველია სასწავლო გეგმის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება სწავლის შედეგების პროგრესიაზე, კერძოდ ანალიტიკის, ციფრული ტრანსფორმაციისა და გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებებით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობას და უზრუნველყოფს მზარდად კომპლექსური კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას.

პროგრამის საერთაშორისო ორიენტაციისა და ინგლისურენოვანი სწავლების გათვალისწინებით, სწავლის შედეგები სათანადოდ უწყობს ხელს კურსდამთავრებულთა მომზადებას საერთაშორისო ბიზნესგარემოში საქმიანობისთვის. ინტერკულტურული კომუნიკაციის, გლობალური ბიზნეს-პერსპექტივებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კომპეტენციებზე დამატებითი აქცენტი კიდევ უფრო გააძლიერებდა კურსდამთავრებულთა მზადყოფნას მრავალფეროვან და მულტიკულტურულ გარემოში დასაქმებისთვის.

საერთო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგები აქტუალური და ყოვლისმომცველია. ისინი შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის სფეროს. ისინი ქმნიან მყარ საფუძველს ეფექტური სწავლების, სწავლისა და შეფასებისთვის, ამავდროულად, იძლევიან მათი გაზომვადობის, პრაქტიკული ორიენტაციის, ტექნოლოგიური აქცენტისა და საერთაშორისო განზომილების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტი;
- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული.

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები დამატებით გაძლიერდეს მათი გაზომვადობის გაუმჯობესებისა და სასწავლო გეგმის ფარგლებში კომპეტენციების თანმიმდევრული პროგრესიის უზრუნველყოფით, განსაკუთრებით ანალიტიკის, ციფრული ტრანსფორმაციისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებებით.
- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების პრაქტიკული და საერთაშორისო განზომილებები დამატებით გაძლიერდეს ბიზნეს-ანალიტიკის, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების, თანამედროვე ბიზნესტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების, ასევე

კულტურათაშორისი კომუნიკაციის, გლობალური ბიზნესგარემოსა და საერთაშორისო თანამშრომლობის კომპეტენციების მეტად ხაზგასმის გზით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას აქვს პროგრამის სწავლის შედეგების (PLO) შეფასების მექანიზმები, რომლებიც შექმნილია პროგრამის ხარისხის სისტემატური მონიტორინგისა და უწყვეტი გაუმჯობესების მხარდასაჭერად. შეფასების პროცესი სტრუქტურირებულია სწავლის შედეგების იდენტიფიცირების, შესაბამისი შეფასების მონაცემების შეგროვებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე, რათა განისაზღვროს, რამდენად მიიღწევა პროგრამის მიზნები და გათვალისწინებული კომპეტენციები.

პროგრამა იყენებს შეფასების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. პირდაპირი შეფასება მოიცავს სტუდენტთა მიღწევების შეფასებას პროექტების, საბაკალავრო ნაშრომებისა და სასწავლო კურსების ფარგლებში განხორციელებული სხვა შეფასების კომპონენტების მეშვეობით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. არაპირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა კურსდამთავრებულთა დასაქმება, საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან მიღებული უკუკავშირი. პროგრამაში ასევე შემუშავებულია სასწავლო გეგმის რუკის მექანიზმი, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ უწყობს ხელს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები პროგრამის დონეზე განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც უზრუნველყოფს სწავლების, სწავლისა და შეფასების პროცესებს შორის შესაბამისობას.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აღნიშნავს, რომ პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასებისა და მონიტორინგის პასუხისმგებლობები; რომ შეფასების შედეგები განიხილება პროგრამის კომიტეტის, პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ. პროგრამა ასევე ავლენს მზაობას, გამოიყენოს შეფასების შედეგები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის სასწავლო გეგმის განახლების, სწავლების მეთოდების გაუმჯობესების, პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების განვითარების მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი უნივერსიტეტისგან იღებს ინსტიტუციურ მხარდაჭერას პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებასთან, შეფასებასთან, გაზომვასა და ანალიზთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარების მიზნით. ასეთი მხარდაჭერა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცესების, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების, ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონსულტაციების საშუალებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს პერსონალის შესაძლებლობების განვითარებას სწავლის შედეგებზე დაფუძნებული განათლების, შეფასების დიზაინის, სასწავლო გეგმის რუკის შედგენის, აგრეთვე შეფასების შედეგების ინტერპრეტაციისა და პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით მათი გამოყენების მიმართულებით. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და შესაბამისი აკადემიური სტრუქტურების ჩართულობა დამატებით უზრუნველყოფს შეფასების მეთოდოლოგიების თანმიმდევრულ გამოყენებას და აძლიერებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ეფექტიანობას.

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, პროგრამა შეესაბამება სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია და მოიცავს შეფასების მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და პროგრამის განვითარებისთვის მათი გამოყენების პროცესებს.

ამავდროულად, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ვინაიდან პროგრამა ახლად შექმნილია და შეფასების ციკლი განხორციელების საწყის ეტაპზეა, შეფასების სამომავლო აქტივობები დამატებით შესაძლებლობებს შექმნის პროგრამის სწავლის შედეგების მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების კიდევ უფრო გასაძლიერებლად. კერძოდ, პროგრამის დონეზე სწავლის შედეგებისთვის მკაფიოდ გაზომვადი შესრულების ინდიკატორებისა და სამიზნე ნიშნულების შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით ანალიტიკურ, ციფრულ და გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციებთან დაკავშირებულ მიმართულებებში, დამატებით შეუწყობს ხელს სტუდენტთა მიღწევებისა და პროგრამის ეფექტიანობის სისტემურ მონიტორინგს.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამაში განსაზღვრულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, რომლებიც ქმნის სათანადო საფუძველს სტუდენტთა მიღწევების შეფასებისთვის. თანამედროვე ბიზნეს-პრაქტიკებზე, ციფრულ ტრანსფორმაციაზე, ანალიტიკასა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებაზე პროგრამის ორიენტაციის გათვალისწინებით, ბიზნესის პრაქტიკული პრობლემების გადაჭრასთან, მონაცემთა ანალიტიკასთან და თანამედროვე ბიზნეს-ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული პირდაპირი და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომების შემდგომი განვითარება კიდევ უფრო გაზრდის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რელევანტურობასა და ეფექტიანობას.

გარდა ამისა, პროგრამა ნათლად აჩვენებს, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება მისი მუდმივი გაუმჯობესებისთვის. შემდგომი შეფასების ციკლების ფარგლებში, შეფასების მონაცემების დაგროვებასთან ერთად, იმის დოკუმენტურად აღწერა თუ როგორ ხდება შეფასების შედეგების ანალიზი, მათი განხილვა და შემდგომ პროგრამის გაუმჯობესების აქტივობებში გათვალისწინება, კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.

საერთო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ქმნის სათანადო ჩარჩოს სტუდენტთა მიღწევების მონიტორინგისა და პროგრამის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის. პროგრამა ავლენს შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფისადმი სტრუქტურირებულ მიდგომას და დანერგილი აქვს პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების სისტემურ შეფასებასა და მათ უწყვეტ გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტი;
- კურიკულუმის რუკა

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის განხორციელებამდე განსაზღვროს, თუ როგორ მოხდება შეფასების მტკიცებულებების შეგროვება, ანალიზი და გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.
- სასურველია, პროგრამის დონეზე სწავლის შედეგებისათვის დამატებით შემუშავდეს გაზომვადი შესრულების ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები (benchmarks), განსაკუთრებით ანალიტიკურ, ციფრულ და გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციებთან დაკავშირებულ მიმართულებებში, რათა ხელი შეუწყოთ სტუდენტთა მიღწევებისა და პროგრამის ეფექტიანობის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შეფასებას.
- სასურველია, გაგრძელდეს ბიზნესის პრობლემების პრაქტიკული გადაჭრის, მონაცემთა ანალიტიკის, თანამედროვე ბიზნესტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული პირდაპირი და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომების განვითარება, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შემდგომი გაძლიერების მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად. ეს აისახება სასწავლო გეგმის განვითარების სისტემურ მიდგომაში, პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და სასწავლო გეგმის შინაარსს შორის შესაბამისობაში, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების, საერთაშორისო საგანმანათლებლო ტენდენციებისა და დარგობრივი განვითარების გათვალისწინებაში. პროგრამა შესაბამისობაშია ინსტიტუციურ მოთხოვნებთან და მიზნად ისახავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში თანამედროვე განვითარების ტენდენციებზე რეაგირებას ისეთი სასწავლო კურსების ინტეგრირებით, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნეს-მოდელირებასთან, ფინანსურ ანალიზთან და ბიზნესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურად ორგანიზებულია, რაც უზრუნველყოფს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას სწავლის სრული პროცესის განმავლობაში. სასწავლო გეგმა აერთიანებს საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს, სავალდებულო დარგობრივ სასწავლო კურსებს, სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებსა და თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსებს, რითაც ქმნის დაბალანსებულ ჩარჩოს, რომელიც მხარს უჭერს როგორც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ისე სტუდენტთა ინდივიდუალურ აკადემიურ სპეციალიზაციას. სასწავლო კურსების თანმიმდევრობა სტუდენტებს უზრუნველყოფს მყარი თეორიული საფუძვლით და ეტაპობრივად აცნობს უფრო სპეციალიზებულ და გამოყენებით ბიზნეს-კომპეტენციებს.

სასწავლო გეგმა ასახავს ბიზნესის განათლების თანამედროვე მიდგომას მენეჯმენტთან, ფინანსებთან, მარკეტინგთან, ანალიტიკასთან, ციფრულ ტექნოლოგიებთან და ლიდერობასთან დაკავშირებული კომპეტენციების ინტეგრირების გზით. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, ზოგადად, შესაბამისობაშია დაგეგმილ სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა ავლენს მცდელობას, დააბალანსოს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება შემთხვევების ანალიზის, პროექტზე დაფუძნებული სწავლების, პრაქტიკული დავალებებისა და საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების მეშვეობით. პროგრამის სინქრონიზაცია მონპელიეს ბიზნესის სკოლასთან დამატებით აძლიერებს პროგრამის საერთაშორისო განზომილებას და ხელს უწყობს გლობალურ კონტექსტზე ორიენტირებული კურსდამთავრებულების ჩამოყალიბებას.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ოფიციალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით, მათ შორის უნივერსიტეტის ვებგვერდის, პროგრამის კატალოგების, პროგრმაზე დაშვების მასალებისა და სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების გამოყენებით. ინფორმაცია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სასწავლო გეგმის სტრუქტურის, დაშვების მოთხოვნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და სწავლის შესაძლებლობების შესახებ ხელმისაწვდომია პოტენციური სტუდენტებისთვის, მოქმედი სტუდენტებისთვის, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა და მოწოდებულმა დოკუმენტაციამ დაადასტურა, რომ პროგრამის შესახებ ინფორმაცია ეფექტიანად ვრცელდება და ხელმისაწვდომია შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამაში ნათლად ჩანს ანალიტიკასთან, ციფრულ ტექნოლოგიებთან, ბიზნესმოდელირებასა და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული კომპეტენციების ინტეგრირება სასწავლო გეგმაში. კურსებში აღნიშნული კომპეტენციების ინტეგრაციასა და პროგრესულ განვითარებაზე უწყვეტი ყურადღების გამახვილებამ შესაძლოა დამატებით შეუწყოს ხელი სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობას და პროგრამის ფარგლებში უფრო მაღალი დონის კომპეტენციების განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე განიხილა პროგრამის განვითარების მხარდასაჭერად გამოყენებული ბენჩმარკინგის ანალიზი. ბენჩმარკინგის პროცესი აჩვენებს პროგრამის ძალისხმევას, შეადაროს საკუთარი გამოცდილება საერთაშორისო უნივერსიტეტების პრაქტიკას და ეს გამოცდილება სასწავლო გეგმის განვითარებაში გამოიყენოს. ბენჩმარკინგის პროცესის შემდგომმა განვითარებამ, დამატებითი შედარებითი ინდიკატორების გამოყენებისა და შესადარებელი დაწესებულებების შერჩევის უფრო მკაფიო დასაბუთების გზით, შესაძლოა კიდევ უფრო შეუწყოს ხელი პროგრამის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გაუმჯობესებასა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას.

პროგრამა მოიცავს რუკის შედგენის მექანიზმს, რომელიც ასახავს პროგრამის სწავლის შედეგებსა და ცალკეულ სასწავლო კურსებს შორის კავშირს. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს სასარგებლო ჩარჩოს იმის გასაგებად, თუ როგორ უწყობს ხელს სასწავლო გეგმა დაგეგმილი კომპეტენციების მიღწევას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ განხილული დოკუმენტაცია ყოველთვის არ შეიცავს საკმარის მტკიცებულებებს იმისა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები თანმიმდევრულად არის გადატანილი კურსის კონკრეტულ სწავლის შედეგებში, სწავლებისა და სწავლის აქტივობებსა და შეფასების დავალებებში. ზოგიერთ სილაბუსში კურსის სწავლის შედეგები ფართო ფორმულირებით არის წარმოდგენილი და მკაფიოდ არ აჩვენებს მათ წვლილს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის სპეციფიკური პროგრამული კომპეტენციების განვითარებაში. მაგალითად, კურსში „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის“ - სწავლის შედეგები ორიენტირებულია მათემატიკური მოდელების აღწერასა და გამოყენებაზე, მეთოდების შედარებაზე, დასკვნების გამოტანასა და გადაწყვეტილებების წარდგენაზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შედეგები შესაბამისი და რელევანტურია საგნობრივი სფეროსთვის, მათი კავშირი ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელ ანალიტიკურ, პრაქტიკულ და ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციებთან ყოველთვის მკაფიოდ არ არის გამოხატული. შესაბამისობის გაძლიერება და უფრო მკაფიოდ წარმოჩენა იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს კურსის სწავლის შედეგები, სასწავლო აქტივობები და შეფასების მეთოდები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, დამატებით გააძლიერებდა სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობას და ხელს შეუწყობდა კურსდამთავრებულის პროფილის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიღწევას.

მთლიანობაში, პროგრამა კარგად არის სტრუქტურირებული, მეთოდოლოგიურად გამართული და შესაბამისობაშია ინსტიტუციურ მიზნებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამა ქმნის მყარ საფუძველს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით და ამავდროულად ითვალისწინებს ანალიტიკისა და ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე თანამედროვე პროცესებს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ როგორც თეორიული ცოდნა, ისე თანამედროვე ბიზნესის გარემოსთვის რელევანტური პრაქტიკული კომპეტენციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტი;
- კურიკულუმის რუკა
- კურსის სილაბუსები

[რეკომენდაციები](#):

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტში კიდევ უფრო გაძლიერდეს სასწავლო პროგრამის დონეზე შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებს, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და პრაქტიკული, კვლევასთან დაკავშირებული და ტრანსფერული უნარების განვითარების აქტივობებს შორის, რათა სასწავლო გეგმის ყველა კომპონენტი მკაფიოდ უწყობდეს ხელს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევას.

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, სასწავლო გეგმის ფარგლებში, გაგრძელდეს ანალიტიკასთან, ციფრულ ტექნოლოგიებთან, ბიზნეს მოდელირებასთან და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული კომპეტენციების ინტეგრაციისა და პროგრესიის გაძლიერება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი](#)	მეტწილად შესაბამისობაშია

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები, ზოგადად, შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან, ხოლო კრედიტების განაწილება ადეკვატურია სასწავლო აქტივობების მოცულობის, სირთულისა და სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით. პროგრამა ეფუძნება სასწავლო გეგმის შემუშავების სტრუქტურირებულ მიდგომას, სადაც კურსების უმეტესობა მოიცავს 5 ECTS კრედიტს და ინარჩუნებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ სასწავლო საათებს შორის თანმიმდევრულ ბალანსს. ეს ხელს უწყობს თანმიმდევრული

სასწავლო გამოცდილების შექმნას და მხარს უჭერს საერთაშორისო უმაღლესი განათლების სტანდარტებთან შესაბამისობას.

სასწავლო გეგმაში ჩანს ცოდნისა და კომპეტენციების განვითარების ლოგიკური პროგრესის. კურსები ორგანიზებულია თანმიმდევრული პრინციპით და მხარდაჭერილია წინაპირობების სისტემით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ეტაპობრივად განივითარონ საბაზისო ცოდნა უფრო რთულ კონცეფციებსა და პრაქტიკულ გამოყენებაზე გადასვლამდე. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს მკაფიო აკადემიური ტრაექტორიების არსებობას ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა რაოდენობრივი მეთოდები, ბუღალტერია, მენეჯმენტი და ლიდერობა, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა კომპეტენციების სისტემურ განვითარებას.

ძირითადი სწავლის სფეროს კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები, ზოგადად, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ასახავს ბიზნესის სფეროს განათლების თანამედროვე ტენდენციებს, მათ შორის დიგიტალიზაციას, ანალიტიკას, კომუნიკაციას, მეწარმეობასა და ეთიკურ გადაწყვეტილებების მიღებას. სილაბუსებში ჩანს ძალისხმევა, რომ, დავალებების, პრეზენტაციების, პროექტებისა და შემთხვევებზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების მეშვეობით, თეორიული ცოდნა გაერთიანდეს პრაქტიკულ გამოყენებასთან.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ ცალკეული კურსების შინაარსი, ზოგადად, შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან და შეფასების მეთოდები შემუშავებულია სტუდენტთა მიღწევების მრავალფეროვანი მიდგომებით შესაფასებლად. განხილული სილაბუსები მოიცავს რამდენიმე დადებით მაგალითს, სადაც კურსის სწავლის შედეგები, კურსის შინაარსი და სწავლებისა და სწავლის მეთოდები ერთმანეთთან კარგად არის შესაბამისობაში. ამავე დროს, ზოგიერთ კურსში ეს კავშირი ნაკლებად მკაფიოა. მაგალითად, კურსი „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის“ მოიცავს ბიზნესთან დაკავშირებულ თემებს, თუმცა მისი სწავლის შედეგები და მეთოდები ზოგადად არის ფორმულირებული მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების კონტექსტში, რის გამოც პროგრამისთვის სპეციფიკურ ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციებთან კავშირი ნაკლებად თვალსაჩინოა. შესაბამისად, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები არა მხოლოდ ჩამოთვლილი იყოს სილაბუსებში, არამედ სისტემურად შეირჩეს და გამოიყენებოდეს კურსის სწავლის შედეგების, პროგრამის სწავლის შედეგების, კურსის შინაარსისა და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გამოცდილების შესაბამისად. საკონტაქტო და დამოუკიდებელ სასწავლო საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და შეესაბამება კურსების ბუნებასა და დაგეგმილ სწავლის შედეგებს.

გარდა ამისა, პროგრამა ავლენს ერთგულებას კურსების შინაარსში დიგიტალიზაციასთან, ანალიტიკასა და ტექნოლოგიებით მართულ ბიზნეს-გარემოსთან დაკავშირებული თანამედროვე საკითხების ინტეგრირების მიმართ. სასწავლო კურსების სილაბუსებში მონაცემთა ანალიტიკასთან, ციფრულ ტექნოლოგიებთან, ხელოვნურ ინტელექტსა და მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ინტეგრაციასა და პროგრესულ განვითარებაზე მუდმივი ყურადღების გამახვილება, დამატებით შეუწყობს ხელს სტუდენტების ანალიტიკური და ტექნოლოგიური კომპეტენციების სისტემურ განვითარებას.

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის, კურსების სილაბუსებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამა მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებს. სასწავლო

კურსები და სასწავლო მასალები ქმნის შესაბამის საფუძველს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და ხელს უწყობს იმ ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიის განვითარებას, რომლებიც მოსალოდნელია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისგან.

ამავე დროს, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ კურსებს შორის თანმიმდევრულობასა და ინტეგრაციაზე უწყვეტი ყურადღების გამახვილება დამატებით შეუწყობს ხელს კომპეტენციების პროგრესულ განვითარებას სასწავლო გეგმის ფარგლებში, განსაკუთრებით ანალიტიკის, ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებით. იმის მკაფიო წარმოჩენა, თუ როგორ მყარდება და ვითარდება აღნიშნული კომპეტენციები სხვადასხვა კურსში, დამატებით შეუწყობს ხელს სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობასა და კურსდამთავრებულის პროფილის მიღწევას.

პროგრამა ავლენს პრაქტიკულ და გამოყენებით სწავლებაზე ძლიერ ორიენტაციას დავალებების, პროექტების, პრეზენტაციებისა და შემთხვევებზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების გამოყენებით. რეალური ბიზნეს-პროექტების, სიმულაციების, ბიზნესის ანალიტიკის ქეისების, პრაქტიკული დავალებებისა და თანამედროვე ბიზნესის პროგრამული პლატფორმების ინტეგრირების დამატებითმა შესაძლებლობებმა შესაძლოა კიდევ უფრო განავითაროს სტუდენტების გამოყენებითი და ანალიტიკური კომპეტენციები და გააძლიეროს კავშირი აკადემიურ სწავლებასა და პროფესიულ პრაქტიკას შორის.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები, ზოგადად, შეესაბამება კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს ლიტერატურის, ელექტრონული რესურსებისა და თანამედროვე ბიზნესქეისების რეგულარული გადახედვისა და განახლების გაგრძელების მნიშვნელობას, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც ხასიათდება სწრაფი ტექნოლოგიური განვითარებით, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, ციფრული მარკეტინგი, ბიზნეს-ანალიტიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები. საერთაშორისო ქეისების, გლობალურად აღიარებული ბიზნეს-რესურსებისა და ინტერდისციპლინური სასწავლო მასალების უფრო ფართო ინტეგრირება, დამატებით გააძლიერებს სწავლებისა და სწავლის პროცესის რელევანტურობასა და საერთაშორისო ორიენტაციას.

მთლიანობაში, სასწავლო კურსები, შეფასების მეთოდები და სასწავლო მასალები ქმნის შესაბამის საფუძველს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამა ავლენს სასწავლო გეგმის დიზაინის სტრუქტურირებულ და თანმიმდევრულ მიდგომას, ამავდროულად ითვალისწინებს ბიზნესის ადმინისტრირების, ანალიტიკისა და ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე თანამედროვე პროცესებს. სასწავლო გეგმის ინტეგრაციის, პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობებისა და თანამედროვე სასწავლო რესურსების შემდგომი გაძლიერება, დამატებით შეუწყობს ხელს პროგრამის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტი;
- კურსის სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- პროგრამის სწავლის შედეგების მატრიცა
- თვითშეფასების ანგარიში

[რეკომენდაცები](#).

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტში გადაიხედოს ცალკეული კურსების სილაბუსები, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსების სწავლის შედეგების, კურსის შინაარსისა და სწავლა-სწავლების მეთოდების მკაფიო შესაბამისობა პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგებთან, განსაკუთრებით იმ კურსებში, სადაც სწავლის შედეგები ზოგადად არის ფორმულირებული ან სადაც სწავლების მეთოდებსა და პროგრამისთვის სპეციფიკურ კომპეტენციებს შორის კავშირი საკმარისად თვალსაჩინო არ არის.

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის]

- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დამატებით გაძლიერდეს მონაცემთა ანალიტიკასთან, ციფრულ ტექნოლოგიებთან, ხელოვნურ ინტელექტსა და მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ინტეგრაცია და პროგრესია, ხოლო სასწავლო კურსების შინაარსი და სასწავლო რესურსები განახლდეს ბიზნესისა და ტექნოლოგიების თანამედროვე განვითარების შესაბამისად.
- სასურველია, სისტემატურად გადაიხედოს და განახლდეს სილაბუსებში მითითებული სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სრული შესაბამისობა ბიბლიოთეკაში უკვე ხელმისაწვდომ სახელმძღვანელოებსა და სასწავლო მასალების უახლეს გამოცემებთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ზოგადად, განსაზღვრულია და შეესაბამება საქართველოს სამართლებრივ ჩარჩოს. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული აპლიკანტებისთვის პროგრამის დოკუმენტი ითვალისწინებს ინგლისური ენის კომპონენტში მაქსიმალური ქულის 70%-ის მიღებას და მათემატიკის და/ან ისტორიის კომპონენტის გადალახვას. აღნიშნული მოთხოვნები

შესაბამისია პროგრამის სფეროსა და საფეხურისთვის, ვინაიდან პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე და ბიზნესისის ადმინისტრირების მიმართულებით სწავლისთვის საჭიროებს ანალიტიკურ მზაობას.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევებში აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის B2 დონის ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულება ან ჩააბარონ ალტე უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის შიდა გამოცდა. ვიზიტის ფარგლებში, უნივერსიტეტმა დაადასტურა, რომ ინგლისური ენის შიდა ტესტირება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც აპლიკანტს არ აქვს ინგლისური ენის სერტიფიკატი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს არ გამოუვლენია რაიმე მტკიცებულება ან ნიშანი იმისა, რომ არსებულ პროგრამებზე მიღება ხორციელდება უსამართლოდ, არაგამჭვირვალედ ან დისკრიმინაციული ფორმით. შესაბამისად, განხილული ინფორმაციისა და ვიზიტის დროს გამართული დისკუსიების საფუძველზე, არსებობს გონივრული საფუძველი, დავასკვნათ, რომ პროგრამაზე დაშვების პროცესი განხორციელდება სამართლიანად, გამჭვირვალედ და სათანადო წესით; ეს უზრუნველყოფს, რომ ჩარიცხულ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და უნარები, რომლებიც აუცილებელია დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამის ამოქმედებამდე უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ დაშვების ყველა მოთხოვნა, მათ შორის ინგლისური ენის მოთხოვნები, პროგრამაზე მიღების ალტერნატიული გზები და შიდა საგამოცდო პროცედურები, მკაფიოდ იყოს გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო აპლიკანტებისთვის.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტუდენტთა კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი აჩვენებს, რომ სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვა ხორციელდება ინსტიტუციური რესურსების გათვალისწინებით, მათ შორის ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პროგრამის სპეციფიკის, ადამიანური რესურსების, პროგრამაზე მოთხოვნისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე. ეს მოწმობს, რომ სტუდენტთა მიღების დაგეგმვის პროცესი ინსტიტუციურად რეგულირდება. მიუხედავად ამისა, პროგრამის ამოქმედების შემდეგ, უნივერსიტეტმა მუდმივად უნდა განახორციელოს მონიტორინგი იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა მიღებული სტუდენტების რაოდენობა ინგლისურენოვანი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელმისაწვდომობას, სასწავლო რესურსებს, ციფრულ ინსტრუმენტებს, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებსა და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების შესაძლებლობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტთა კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ლიდერებთან

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული.

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, უნივერსიტეტმა პირველი სემესტრების განმავლობაში განახორციელოს ჩარიცხული საერთაშორისო სტუდენტების აკადემიური პროგრესის მონიტორინგი და მიღებული შედეგები გამოიყენოს პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმებისა და აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმების დასახვეწად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საფეხურისთვის შესაბამისი პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით. პროგრამის დოკუმენტაცია და შესწავლილი სილაბუსები აჩვენებს, რომ სტუდენტებს უნდა განუვითარდეს ანალიტიკური, კომუნიკაციური, გუნდური მუშაობის, პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, ციფრული და კვლევითი უნარები.

აღნიშნული კომპეტენციების განვითარება ძირითადად სასწავლო კურსების ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო აქტივობებისა და შეფასების მეთოდების მეშვეობით ხორციელდება. განხილული სილაბუსები მოიცავს ქეისების ანალიზს, პრაქტიკულ დავალებებს, ჯგუფურ პროექტებს, პრეზენტაციებს, ანალიტიკურ ამოცანებს, ბიზნესთან დაკავშირებულ პროექტებს, მონაცემთა ანალიზის დავალებებსა და ციფრულ ინსტრუმენტებთან მუშაობას. ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა Power BI ანალიტიკა, ფინანსური ბაზრები და დაწესებულებები, შესავალი ინვესტირებაში, საერთაშორისო მარკეტინგი, პროდუქტის დიზაინი, მომხმარებლის ქცევა და ბიზნეს მოდელების პრინციპები, შეიცავს პრაქტიკაზე ორიენტირებულ აქტივობებსა და შეფასების კომპონენტებს.

პროგრამის ერთ- ერთ დადებით მახასიათებელს წარმოადგენს მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობა. ვიზიტის ფარგლებში მოწვეულმა პერსონალმა წარმოაჩინა პროფესიული გამოცდილება და სასწავლო პროცესში პრაქტიკული მაგალითები ინტეგრირებულად გამოყენების მზადყოფნა. დამსაქმებლებმაც დაადასტურეს პროგრამის განვითარების პროცესში საკუთარი მონაწილეობა და აღნიშნეს, რომ პროგრამის გადახედვის შედეგად მეტი ყურადღება დაეთმო რბილი უნარების განვითარებას, ქეისების გამოყენებასა და პრაქტიკაზე ორიენტაციას. აღნიშნული ხელს უწყობს პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

კვლევითი უნარების განვითარება გათვალისწინებულია წერილობითი დავალებების, კვლევასთან დაკავშირებული სასწავლო კომპონენტებისა და საბაკალავრო ნაშრომის საშუალებით. წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის დებულება განსაზღვრავს ნაშრომს, როგორც პროგრამის დასრულების ეტაპზე შესრულებულ და საჯაროდ დაცულ წერილობით კვლევით პროექტს. დებულება ასევე აღწერს ხელმძღვანელის, რეცენზენტის და დაცვის კომისიის ფუნქციებს და მოიცავს მოთხოვნებს კვლევის დიზაინის, მეთოდოლოგიის, აკადემიური წერის, წყაროების გამოყენების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შემოწმების მიმართულებით. დებულება ასევე არეგულირებს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას და სტუდენტებს ავალდებულებს დაადასტურონ საკუთარი ნაშრომის ორიგინალურობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიუთითონ გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების ფაქტი უნივერსიტეტის აკადემიური სტანდარტების შესაბამისად.

დამატებითი დოკუმენტები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს უკვე ჩამოყალიბებული აქვს ინსტიტუციური პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვას. აღნიშნული მოიცავს სტუდენტურ კონფერენციებს, კვლევის მხარდაჭერის აქტივობებს, სტუდენტთა კვლევის ჰაბს და უნივერსიტეტის შიდა დაფინანსებით განხორციელებულ კვლევით პროექტებს. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების ნაწილი სხვა პროგრამების სტუდენტებს ან უნივერსიტეტის მასშტაბით განხორციელებულ ინიციატივებს ეხება, ეს გასაგებია, რადგან ინგლისურენოვან ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალვრო პროგრამას ჯერ არ დაუწყია ფუნქციონირება და შესაბამისად, სტუდენტები ჯერ არ ჰყავს. არსებული ინსტიტუციური გამოცდილება იძლევა სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად სათანადო საფუძველს. სასურველია, რომ პროგრამის ამოქმედების შემდეგ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აღნიშნული პროგრამის სტუდენტების სისტემური ინფორმირება კვლევითი შესაძლებლობების შესახებ, წაახალისოს მათი მონაწილეობა და აქტიური ჩართულობა კვლევით საქმიანობაში, მათ შორის კონფერენციებში, კვლევით პროექტებში, კვლევით ჰაბებსა და შიდა დაფინანსების ინიციატივებში.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მასალები მკაფიოდ არ ადასტურებს სავალდებულო სტაჟირების ან მისი ეკვივალენტური, სტრუქტურირებული პრაქტიკული კომპონენტის არსებობას. პრაქტიკული უნარების განვითარება ძირითადად ეფუძნება აუდიტორიაში განხორციელებულ პროექტებს, ქეისების ანალიზს, სიმულაციებსა და პრაქტიკულ დავალებებს. ასეთი მიდგომა შეიძლება მისაღები იყოს, თუ იგი სისტემურად და თანმიმდევრულად ხორციელდება, თუმცა დამსაქმებლებისა და მონათესავე პროგრამების კურსდამთავრებულების უკუკავშირი მიუთითებს, რომ საჭიროა უფრო ძლიერი პრაქტიკული სწავლება, მეტი სიმულაცია, მეტი რეალური ბიზნესქეისი და პრაქტიკული გამოცდილების უფრო ფართო შესაძლებლობები. შესაბამისად, პროგრამამ უფრო მკაფიოდ უნდა დაგეგმოს, თუ როგორ მიიღებენ სტუდენტები სტრუქტურირებულ და პროგრესულად განვითარებად პრაქტიკულ გამოცდილებას მთელი სასწავლო პროგრამის განმავლობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურსის სილაბუსები;
- საბაკალავრო ნაშრომის დებულება;
- დოკუმენტები სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის შესახებ;

- დოკუმენტები სტუდენტური კონფერენციებისა და კვლევითი მხარდაჭერის შესახებ;
- დაფინანსებული კვლევითი პროექტები სტუდენტების ჩართულობით;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების ანალიზი;
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

[რეკომენდაცები](#).

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს პროგრამის დონის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების სისტემურ ინფორმირებას, წახალისებასა და ჩართულობას კვლევით აქტივობებში, მათ შორის სტუდენტურ კონფერენციებში, კვლევით პროექტებში, კვლევით ჰაბებსა და შიდა დაფინანსების მქონე კვლევით ინიციატივებში, და უზრუნველყოს, რომ აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სასურველია, პროგრამამ განიხილოს ფორმალური სტაჟირების კომპონენტის ან მასთან გათანაბრებული, სტრუქტურირებული, პრაქტიკაზე დაფუძნებული სასწავლო კომპონენტის დანერგვა, რათა სტუდენტებს მიეცეთ თეორიული ცოდნის რეალურ ორგანიზაციულ გარემოში გამოყენების უფრო სისტემური შესაძლებლობები.
- სასურველია, პროგრამამ უფრო სისტემურად გამოიყენოს ძლიერი დამსაქმებელთა ქსელი პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო აქტივობების განხორციელების, ზედამხედველობისა და შეფასების პროცესში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.2.პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი / შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია სწავლებისა და სწავლის მეთოდების ფართო სპექტრი, მათ შორის: ახსნა-განმარტება, ზეპირი პრეზენტაცია, ლიტერატურაზე მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი

იერიში, დისკუსია და დებატები, როლური თამაშები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ქოუჩინგი, სიმულაციებზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეისების ანალიზი, ანალიზი და სინთეზი, წერილობითი სამუშაოები, პრეზენტაცია/ დემონსტრაცია და ელექტრონული სწავლება.

შესწავლილი სილაბუსები ადასტურებს, რომ აღნიშნული მეთოდები ასახულია სასწავლო კურსების დონეზე. კურსები მოიცავს ლექციებს, ჯგუფურ მუშაობას, პრაქტიკულ დავალებებს, დისკუსიებს, ქეისების ანალიზს, პრეზენტაციებს, დემონსტრაციებს, პროექტზე მუშაობას, გონებრივ იერიშს და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას. მეთოდოლოგიური მრავალფეროვნება შესაბამისობაშია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო განათლების მოთხოვნებთან და ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების, პროფესიული კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, ციფრული უნარებისა და თეორიული ცოდნის ბიზნესსიტუაციებში გამოყენების უნარის განვითარებას. რამდენიმე სილაბუსში მკაფიოდ იკვეთება კავშირი კურსის სწავლის შედეგებს, სასწავლო შინაარსსა და სწავლა-სწავლების მეთოდებს შორის, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც პრაქტიკული, საკომუნიკაციო, ანალიტიკური ან პროფესიული კომპეტენციები ვითარდება ქეისების ანალიზის, პროექტების, სიმულაციების, პრეზენტაციების, წერილობითი დავალებებისა და პრაქტიკული აქტივობების საშუალებით.

პროგრამის ერთ- ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს მოწვეული პრაქტიკოსები და აკადემიური პერსონალი, რომლებიც, ზოგადად, გამოირჩევიან მაღალი პროფესიული კომპეტენციითა და ჩართულობით. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი გეგმავს სასწავლო პროცესში ქეისების, პრაქტიკული მაგალითებისა და პროფესიული გამოცდილების აქტიურად გამოყენებას. დამსაქმებლებმაც გამოხატეს შემდგომი თანამშრომლობისა და ჩართულობის მზაობა. აღნიშნული წარმოადგენს ძლიერ მხარეს და ქმნის პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისთვის ხელსაყრელ პირობებს.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა სწავლება-სწავლის პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებასთან დაკავშირებული რამდენიმე რისკი. პირველ რიგში, მოწვეულ პერსონალს აქვს მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილება, თუმცა წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებს, რომ მათ სისტემურად უტარდებათ ტრენინგები ისეთი საკითხების მიმართულებით, როგორიცაა სწავლის შედეგებზე ორიენტირებული სწავლება, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, უკუკავშირის მიწოდება, აკადემიური კეთილსინდისიერება ან კულტურულად მრავალფეროვან ჯგუფებთან მუშაობა. ვინაიდან მოწვეული პრაქტიკოსები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროგრამის განხორციელებაში, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მათ იმოქმედონ სწავლების ხარისხის, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და შეფასების სტანდარტების შესახებ ერთიანი მოთხოვნების შესაბამისად (იხ. რეკომენდაცია სტანდარტში 4.3).

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია, ინტერვიუებმა აჩვენა, რომ კონსტრუქციული შესაბამისობის და სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკული გაგება ჯერ კიდევ არ არის ერთგვაროვანი ყველა შესაბამის თანამშრომელს შორის (იხ. რეკომენდაცია სტანდარტში 4.3). მოცემული კომპონენტის ფარგლებში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რამდენად თანმიმდევრულად ხდება სწავლა- სწავლების მეთოდების შერჩევა და გამოყენება სასწავლო კურსის შინაარსის, კურსის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად (დამატებითი ინფორმაცია იხ. სტანდარტში 1.5).

პროგრამა მოიცავს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ შინაარსს, და უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები. ეს დადებით განვითარებად შეიძლება შეფასდეს. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უფრო სისტემურად უნდა იყოს ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული დავალებების, ანალიტიკური ამოცანების, ბიზნესგადაწყვეტილებების მიღებაზე ორიენტირებული სავარჯიშოებისა და ბიზნესსაქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური ასპექტების გააზრებაზე დაფუძნებული აქტივობების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტი;
- კურსის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების ანალიზი;
- ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები.

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამამ გააფართოოს ხელოვნური ინტელექტის პრაქტიკული გამოყენება; ასევე AI-ის მხარდაჭერით ბიზნესის ანალიზის, მონაცემთა ანალიტიკისა და ციფრულ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული დავალებების გამოყენება სხვადასხვა სასწავლო კურსში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.3.სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება რეგულირდება ინსტიტუციურ დონეზე და აღწერილია როგორც პროგრამის დოკუმენტში, ისე სასწავლო კურსების სილაბუსებში. პროგრამაში გამოიყენება 100- ქულიანი შეფასების სისტემა. პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, შუალედური შეფასება უნდა შეადგენდეს საბოლოო შეფასების 60– 70%- ს, ხოლო დასკვნითი შეფასება — 30– 40%- ს. შუალედური და დასკვნითი გამოცდები სავალდებულოა. შეფასების კომპონენტები, მეთოდები, მათი წონითი მაჩვენებლები, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში და ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის.

შესწავლილი სილაბუსები ადასტურებს მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემის გამოყენებას. შეფასების მეთოდები მოიცავს წერით გამოცდებს, ღია და დახურულ კითხვებს, შემთხვევის (ქეისის) ანალიზს, პრაქტიკულ დავალებებს, პროექტებს, პრეზენტაციებს, რეფერატებს, ჯგუფურ სამუშაოებს, დისკუსიებსა და ტესტირებას. რამდენიმე სილაბუსში შეფასების კრიტერიუმები მოიცავს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, მონაცემთა ანალიზს, არგუმენტაციის უნარს, ზეპირ და წერით კომუნიკაციას, გუნდურ მუშაობას, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებასა და პრობლემების გადაჭრის უნარს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მოქმედ პროგრამებში სტუდენტთა შეფასება დადგენილი პროცედურების შესაბამისად ხორციელდება. ასევე, არ გამოვლენილა რაიმე სისტემური პრობლემა შეფასების გამჭვირვალობასთან, სანდოობასთან ან სამართლებრივ შესაბამისობასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, აგრეთვე წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტისა და სილაბუსების საფუძველზე, არსებობს იმის გონივრული საფუძველი, რომ ინგლისურენოვან ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტთა შეფასება განხორციელდება ინსტიტუციურ და პროგრამულ დონეზე დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტი სტუდენტებს ასევე ანიჭებს საგამოცდო პროცესის, გამოცდის შედეგებისა და საგამოცდო კითხვების გასაჩივრების უფლებას. დასაბუთებული საჩივრის შემთხვევაში იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც სულ მცირე სამი წევრისგან შედგება.

უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პლაგიატის ცნებას, აღწერს პლაგიატის სხვადასხვა ფორმას, ითვალისწინებს Turnitin- ის საფუძველზე ტექსტური მსგავსების შემოწმებას და ადგენს რეაგირების ზომებს სტუდენტთა ნაშრომების სხვადასხვა ტიპისთვის. ეთიკის კოდექსი ხელს უწყობს სამართლიანი შეფასების, აკადემიური კეთილსინდისიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და ეთიკური ქცევის პრინციპების დაცვას. საბაკალავრო ნაშრომის დებულება ასევე მოიცავს პლაგიატის შემოწმებისა და სტუდენტთა ნაშრომების ორიგინალურობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ დებულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამისა და კურსების დონეზე შეფასების სისტემა ზოგადად საკმარის საფუძველს ქმნის, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ შეფასების კრიტერიუმების ხარისხი და სპეციფიკა სილაბუსების მიხედვით განსხვავდება. რამდენიმე სილაბუსი შეიცავს საკმაოდ დეტალურ შეფასების კრიტერიუმებს და ნათლად აჩვენებს კავშირს სწავლის შედეგებსა და შეფასების დავალებებს შორის. ამასთან, ზოგიერთ სილაბუსში შეფასების კრიტერიუმები ნაკლებად მკაფიოდ წარმოაჩენს, თუ როგორ იზომება კურსის კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევა. მაგალითად, კურსი „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის“ მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ორიენტირებულია ფორმულების შერჩევაზე, გამოთვლების სიზუსტესა და პრობლემების გადაჭრაზე, თუმცა აღნიშნული კრიტერიუმები მკაფიოდ არ აჩვენებს, თუ როგორ უწყობს შეფასება ხელს პროგრამისთვის სპეციფიკური ანალიტიკური და

ბიზნესგადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციების შეფასებას. კურსში „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ გათვალისწინებულია პრაქტიკული დავალებები და მისი მიზანია საოფისე და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენების უნარების განვითარება. თუმცა, დასკვნითი შეფასება მოიცავს ტესტურ კომპონენტს, რომელიც სრულად ვერ წარმოაჩენს სტუდენტების მიერ ციფრული ინსტრუმენტების პრაქტიკაში გამოყენების უნარს. ანალოგიურად, კურსში „ციფრული მარკეტინგი“ სწავლის ერთ- ერთი შედეგი უკავშირდება ციფრული მარკეტინგის გეგმის შემუშავებასა და წარდგენას, თუმცა შეფასების სტრუქტურა უფრო მკაფიოდ უნდა წარმოაჩენდეს, თუ როგორ ფასდება უშუალოდ აღნიშნული პრაქტიკული შედეგის მიღწევა. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებამდე უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს სილაბუსებს და უზრუნველყოს, რომ შეფასების დავალებები და რუბრიკები მკაფიოდ წარმოაჩენდეს, თუ როგორ იზომება სტუდენტების მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის პრაქტიკული ოპერაციონალიზაციის გაძლიერება. წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია კონცეპტუალურად გამართულია: იგი ითვალისწინებს სასწავლო გეგმის რუკას, შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას და შეფასებას კონკრეტული დავალებების საფუძველზე, და არ ეყრდნობა მხოლოდ კურსის საბოლოო შეფასებებს. თუმცა, ინტერვიუების დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს მკაფიოდ აეხსნათ, თუ როგორ მოწმდება პრაქტიკაში შესაბამისობა სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებსა და შეფასების მეთოდებს შორის, ან როგორ ხორციელდება შეფასების სანდოობისა და სამართლიანობის მონიტორინგი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის. ეს მიუთითებს, რომ შესაბამისი მეთოდოლოგიური ჩარჩო არსებობს, თუმცა მისი პრაქტიკული განხორციელება და საერთო ინსტიტუციური გააზრება შემდგომ გაძლიერებას საჭიროებს.

ვინაიდან პროგრამა ახალია, სტუდენტთა შეფასების მონაცემები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პროგრამის ამოქმედებამდე განისაზღვროს, თუ როგორ მოხდება შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება, ანალიზი და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით გამოყენება. უნივერსიტეტმა ასევე უნდა უზრუნველყოს უკუკავშირის თანმიმდევრული დანერგვა ყველა სასწავლო კურსში, რათა სტუდენტებმა დროულად მიიღონ ინფორმაცია არა მხოლოდ მიღებული ქულების შესახებ, არამედ იმის თაობაზეც, თუ რამდენად მიაღწიეს დაგეგმილ სწავლის შედეგებს და როგორ შეუძლიათ საკუთარი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტი;
- კურსის სილაბუსები;
- პლაგიატის პრევენცია, გამოვლენა და რეაგირების მექანიზმი;
- ეთიკის კოდექსი;
- საბაკალავრო ნაშრომის დებულება;
- სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალთან, პროგრამის მენეჯმენტთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

[რეკომენდაციები](#).

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პროგრამის განხორციელებამდე გადახედოს და დახვეწოს ყველა სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების დავალებები, შეფასების მეთოდები და რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკრეტულობასა და გამჭვირვალობას, ასევე შესაბამისობას სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტმა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით დაგეგმოს შეფასების სტანდარტების კალიბრაციის აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს შეფასების კრიტერიუმებისა და შეფასების სტანდარტების ერთგვაროვან ინტერპრეტაციას.
- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უკუკავშირის თანმიმდევრული დანერგვა ყველა სასწავლო კურსში, რათა სტუდენტებმა დროულად მიიღონ ინფორმაცია არა მხოლოდ საკუთარი შეფასებების შესახებ, არამედ იმის თაობაზეც, თუ რამდენად მიაღწიეს დაგეგმილ სწავლის შედეგებს და როგორ შეუძლიათ საკუთარი აკადემიური შედეგების გაუმჯობესება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2,4.სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელია, რომ ALTE-ს უნივერსიტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საჭირო ინფორმაციით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების ინტეგრაციას

საუნივერსიტეტო გარემოში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი კურსის სტუდენტებისთვის. სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი სტუდენტებთან მჭიდრო კომუნიკაციას ინარჩუნებს. აღსანიშნავია ასევე, რომ დაწესებულებაში სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები სრულად არის დაცული. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საკუთარი უფლებების შესახებ და კარგად აცნობიერებენ მათ. გარდა ამისა, ისინი იცნობენ აკადემიური კეთილსინდისიერების წესებს.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია სწავლისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი აქტიურად უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტებს ასევე ეხმარება ინდივიდუალური სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.

ლექტორებთან კონსულტაციები ტარდება სილაბუსებით განსაზღვრულ საკონსულტაციო საათებში. ამასთანავე, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პროფესორებთან მჭიდრო და ეფექტიანი კომუნიკაცია აქვთ ჩამოყალიბებული.

დაწესებულება რეგულარულად აწყობს დასაქმების ფორუმებს. უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტების მომავალი პროფესიული განვითარებისათვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აქტიურად აწყობს სხვადასხვა ღონისძიებას, აქტივობასა და საჯარო ლექციას, რაც სტუდენტებს სასწავლო კურსების ფარგლებს მიღმა დამატებით შესაძლებლობებს სთავაზობს.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტების მონაწილეობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში, მათი სასწავლო საქმიანობის ფარგლებში. ასევე, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებსა და სხვადასხვა აკადემიურ ღონისძიებაში. აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია აქტიურად ვრცელდება უნივერსიტეტის ვებგვერდის, სოციალური არხებისა და სტუდენტებთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით.

გარდა ამისა, ლატე უნივერსიტეტი მონაწილეობს Erasmus+ პროგრამაში და თანამშრომლობს არაერთ საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტთან. ეს სტუდენტებს დამატებით შესაძლებლობას აძლევს, ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში და მიიღონ საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილება.

დაწესებულება სრულ მხარდაჭერას უწევს სტუდენტურ აქტივობებსა და მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას. სტუდენტებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომლის მეშვეობითაც იგეგმება მათი ინტერესების შესაბამისი სოციალური, კულტურული და სპორტული აქტივობები. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აქტივობები მრავალფეროვანია და უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტურ ცხოვრებას. ამასთანავე, რადგან პროგრამა ინგლისურენოვანია და მოსალოდნელია, რომ იგი საერთაშორისო სტუდენტებსაც მოიზიდავს, აუცილებელია არსებობდეს საერთაშორისო სტუდენტების აკადემიური, ენობრივი და კულტურული საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების მექანიზმი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული მექანიზმი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად განსაზღვრული. ინტერვიუების დროს პროგრამის ხელმძღვანელობამ კონკრეტულად ვერ განმარტა, თუ როგორ მოხდება საერთაშორისო სტუდენტების საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

ზოგადად, უნივერსიტეტმა შექმნა სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, სადაც უზრუნველყოფილია სტუდენტების ინფორმირება, მხარდაჭერა და მათი უფლებების დაცვა. სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის მჭიდრო კომუნიკაცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვასა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. სტუდენტები ასევე ინფორმირებულნი არიან საკუთარი უფლებებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ.

უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების პროფესიულ და აკადემიურ განვითარებას დასაქმების ფორუმების, სხვადასხვა ღონისძიების, კონფერენციებისა და საერთაშორისო შესაძლებლობების შეთავაზების გზით. Erasmus+ პროგრამისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა სტუდენტებს საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს, ხოლო მრავალფეროვანი სტუდენტური აქტივობები მათ სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია.
- ინტერვიუების შედეგები;
- ვებ-გვერდი;
- შიდა რეგულაციები;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები.

[რეკომენდაციები](#).

- რეკომენდებულია, უსდ-მ მოახდინოს საერთაშორისო სტუდენტების აკადემიური, ენობრივი, კულტურული და მხარდაჭერის საჭიროებების გამოვლენისა და მათზე რეაგირების პროგრამის დონეზე არსებული მექანიზმის ფორმალიზება და მისი სისტემური დანერგვა.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2.მაგისტრანტთა	აირჩიეთ შესაბამისი

ხელმძღვანელობ ა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

➢პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/ სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/ სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ- ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. პროგრამას ემსახურება 32 თანამშრომელი, მათ შორის 10 აკადემიური პერსონალი (5 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ-პროფესორი) და 22 მოწვეული ლექტორი. 10 აკადემიური პერსონალიდან მხოლოდ 4 არის უნივერსიტეტთან აფილირებული, რაც მუდმივი პერსონალის შედარებით დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს, რაც, თავის მხრივ, პროგრამის მდგრადობას უკავშირდება. პროგრამა მნიშვნელოვნად ეყრდნობა მოწვეულ ლექტორებს (22 მოწვეული პერსონალი 10 აკადემიური პერსონალის წინააღმდეგ), რამაც შესაძლოა გარკვეული გამოწვევები შექმნას პროგრამის გრძელვადიანი სტაბილურობისა და უწყვეტობის თვალსაზრისით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება, როგორც ჩანს, შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს აქტიური კვლევითი პროფილი, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის კვლევით მისიას და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების განვითარებას. მათი სამეცნიერო

საქმიანობა მოიცავს პუბლიკაციებს ეროვნულ და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, ჩართულობას წარმატებულ საგრანტო პროექტებში და სხვა კვლევით ინიციატივებს. საანგარიშო პერიოდში პროგრამის პერსონალმა გამოაქვეყნა 13 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 9 სტატია საერთაშორისო ჟურნალებში და 4 - ეროვნულ ჟურნალებში. აკადემიურმა პერსონალმა ასევე წარმოადგინა 8 საკონფერენციო მოხსენება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციებზე. გარდა ამისა, პროგრამის პერსონალი მონაწილეობდა 3 კვლევით გრანტში და დააფიქსირა 3 სხვა კვლევასთან დაკავშირებული მიღწევა, რაც ადასტურებს მათ უწყვეტ ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში. პუბლიკაციების მონაცემები ასახავს კვლევითი საქმიანობის უწყვეტობას საანგარიშო პერიოდში: 2021 წელს დაფიქსირებულია 5 პუბლიკაცია, 2022 წელს — 5, ხოლო 2023 წელს — 3 პუბლიკაცია. კონფერენციებში მონაწილეობაც სტაბილურ ხასიათს ატარებს: ყოველწლიურად ხორციელდება მოხსენებების წარდგენა, ხოლო 2022 და 2024 წლებში შეინიშნება გაზრდილი აქტივობა, რაც კვლევითი შედეგების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში აქტიურ გავრცელებაზე მიუთითებს.

უნივერსიტეტში დანერგილია შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის მოთხოვნებს, შერჩევისა და პასუხისმგებლობების განაწილების წესებს. დაწესებულება ასევე ყურადღებით ეკიდება პერსონალის სამუშაო დატვირთვის მართვისა და კეთილდღეობის საკითხებს, რაც მოიცავს დაბალანსებული დატვირთვის განაწილებას და მოქნილი სამუშაო პირობების უზრუნველყოფას. პროგრამას ემსახურება კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლის ფუნქციებიც განაწილებულია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში და ხელს უწყობს სტუდენტური სერვისების მიწოდებასა და პროგრამის ადმინისტრირებას. სამუშაო დატვირთვის დაგეგმვა წარმოადგენს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განუყოფელ კომპონენტს. უნივერსიტეტი ცდილობს შეინარჩუნოს ბალანსი სასწავლო, კვლევით, ადმინისტრაციულ და დამხმარე პასუხისმგებლობებს შორის, რაც ხელს უწყობს პერსონალის კეთილდღეობას, პროდუქტიულობის შენარჩუნებას და გადატვირთვისა და პროფესიული გადაწვის პრევენციას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება უნივერსიტეტის სტუდენტური კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას, სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელების საჭიროებებსა და ინსტიტუციურ ხარისხის სტანდარტებს. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასწავლო დატვირთვის სამართლიან განაწილებას და ამავდროულად სწავლა-სწავლების ხარისხის შენარჩუნებას. პერსონალის სამუშაო დატვირთვის ეფექტიანი მართვისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, ალტე უნივერსიტეტი საჭიროების შემთხვევაში იყენებს მოქნილ სამუშაო რეჟიმს. პოზიციის ხასიათისა და ოპერაციული საჭიროებების გათვალისწინებით, თანამშრომლებს შესაძლოა შესთავაზონ მოქნილი სამუშაო გრაფიკი, ნახევარ განაკვეთზე დასაქმება ან ჰიბრიდული/ დისტანციური სამუშაო რეჟიმი, შიდა რეგულაციებისა და სამუშაო აღწერილობების შესაბამისად. აღნიშნული ხელს უწყობს ადამიანური რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ზრდის თანამშრომელთა კმაყოფილებას და მხარს უჭერს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ ეფექტიანობასა და ადამიანური რესურსების მდგრად მართვას.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში, მათ შორის სასწავლო გეგმის განვითარებაში, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში და აკადემიურ პერსონალთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციაში. აღნიშნული ჩართულობა ხელს უწყობს პროგრამის შესაბამისობას მის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში

არსებულ თანამედროვე განვითარებასთან. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება. მას მინიჭებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, სადაც მისი კვლევა ფოკუსირებული იყო განახლებადი ენერგიის დანერგვასა და მის გავლენაზე ბიზნესზე, რაც უზრუნველყოფს მყარ აკადემიურ საფუძველს ბიზნესისა და სტრატეგიული მართვის მიმართულებით. გარდა ამისა, მას გავლილი აქვს აღმასრულებელი განათლების პროგრამა ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში, ლიდერობის ტრენინგი სტენფორდის უნივერსიტეტში და პროფესიული პროგრამები ბიზნესის ადმინისტრირებისა და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების მიმართულებით, რაც ადასტურებს მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. მისი აკადემიური კომპეტენცია ასევე დასტურდება ათ წელზე მეტი ხნის სწავლების გამოცდილებით როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურებზე. 2016 წლიდან იგი ასოცირებული პროფესორისა და აკადემიური საბჭოს წევრის პოზიციას იკავებს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში და ასწავლის ისეთ კურსებს, როგორიცაა სტრატეგიული მართვა, საბანკო საქმე და ფინანსური დაწესებულებები. იგი ასევე იყო ლექტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ასწავლიდა საბაკალავრო და სამაგისტრო კურსებს საბანკო საქმის, ფინანსებისა და ფულადი პოლიტიკის მიმართულებით. აღნიშნული ფართო სასწავლო გამოცდილება ადასტურებს, რომ მას შეუძლია მართოს სასწავლო გეგმის განვითარება, უხელმძღვანელოს სტუდენტებს და უზრუნველყოს აკადემიური ხარისხის დაცვა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [5]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**10**	**10**	**6**	**4**
- პროფესორი	5	5	4	3
- ასოცირებული პროფესორი	3	3	2	-
- ასისტენტ–პროფესორი	2	2	-	1
- ასისტენტი	-	-		-
მოწვეული პერსონალი	22	22	3	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_
მათ შორის საერთაშორისო პერსონალი	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

[5]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის კვალიფიკაციის მოთხოვნები.

[რეკომენდაცები](#).

- არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის, მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალის წილი გაიზარდოს პროგრამის მდგრადობის გაძლიერებისა და მოწვეულ პერსონალზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–

სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაცები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში დანერგილია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემური მიდგომა. პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება სტრუქტურირებული პროცედურების საფუძველზე, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიზნებთან და

ემსახურება პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას, უკუკავშირის მიწოდებას, კარიერული განვითარების ხელშეწყობასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას. შეფასების სისტემა მოიცავს მაღალი შედეგიანობის აღიარების მექანიზმებს, ასევე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას მიზნობრივი გადამზადებისა და განმავითარებელი აქტივობების მეშვეობით.

უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება. პროფესიული განვითარების აქტივობები იგეგმება როგორც ინსტიტუციური სტრატეგიული პრიორიტეტების, ისე ინდივიდუალური საჭიროებების საფუძველზე. ადამიანური რესურსის განვითარების დეპარტამენტისა და კანცელარიის ფარგლებში ტრენინგებისა და განვითარების მენეჯერის სპეციალური პოზიციის შექმნა კიდევ უფრო აძლიერებს პერსონალის განვითარების მხარდამჭერ ინსტიტუციურ ჩარჩოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს პროფესიული განვითარების აქტივობებს, რომლებიც დაკავშირებულია სწავლა- სწავლების პროცესთან, კვლევასთან, აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან, ინტერნაციონალიზაციასთან, სტუდენტთა ხელმძღვანელობასთან, ინოვაციური სწავლების მეთოდებისა და უმაღლეს განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან. განხორციელებული ბუთქემფები (Bootcamps) და ტრენინგები მოიცავს თანამედროვე უმაღლესი განათლების პრაქტიკისთვის მნიშვნელოვან თემებს და ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი კომპეტენციების გაძლიერებას. მონაწილეობის მონაცემები მიუთითებს ბიზნესის სკოლის წარმომადგენლების აქტიურ ჩართულობაზე აღნიშნულ აქტივობებში.

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალი ზოგადად იცნობს პროგრამის სწავლის შედეგებსა და შეფასების პროცესებს, ინტერვიუებმა გამოავლინა სწავლის შედეგების უზრუნველყოფის ციკლის უფრო ღრმა გააზრების საჭიროება, მათ შორის შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის, „უკუკავშირის ციკლის“ მექანიზმებსა და სწავლის შედეგებს, შეფასების ინსტრუმენტებსა და სასწავლო გეგმის განვითარების პროცესებს შორის შესაბამისობის საკითხებს.

უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მრავალფეროვან მექანიზმებს. მათ შორისაა შიდა საგრანტო კონკურსები, კონფერენციებსა და პუბლიკაციებთან დაკავშირებული დაფინანსების შესაძლებლობები, კვლევითი კონსულტაციები, გარე დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და საერთაშორისო აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა. შიდა კვლევითი გრანტებისთვის გამოყოფილი დაფინანსების ზრდა ადასტურებს უნივერსიტეტის ინსტიტუციურ დაინტერესებას კვლევითი გარემოს გაძლიერებაში. შიდა დაფინანსების მექანიზმების შექმნა და ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით ინიციატივებში მონაწილეობის აქტიური მხარდაჭერა დადებითად მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი კულტურის განვითარებაზე.

სწავლების შეფასება სტუდენტების მიერ რეგულარულად, ყოველ სემესტრში ხორციელდება და წარმოადგენს სწავლების ხარისხის მონიტორინგისა და გაუმჯობესების საჭიროებების გამოვლენის დამატებით მექანიზმს. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სტუდენტებისგან, ზოგადად, დადებით შეფასებებს იღებს სწავლების ეფექტიანობის, კომუნიკაციის, ორგანიზებულობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტში შექმნილია პერსონალის შეფასების, პროფესიული განვითარების და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის შესაბამისი მექანიზმები. განხორციელებული აქტივობები შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს და ხელს უწყობს სწავლების ხარისხის, კვლევითი პროდუქტიულობისა და პერსონალის კომპეტენციების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ადამიანური რესურსების განვითარებისა და კანცელარიის დეპარტამენტის დებულება;
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

[რეკომენდაცები](#).

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ არსებული პერსონალის განვითარების სისტემა სისტემატურად მოიცავდეს პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და მიზანმიმართულ მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, სწავლის შედეგებზე ორიენტირებული კურსის დიზაინის, უკუკავშირის მიწოდების, აკადემიური კეთილსინდისიერების და კულტურულად მრავალფეროვან საერთაშორისო აუდიტორიებში სწავლების მიმართულებით.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში, საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებასა და აკადემიური მობილობის აქტივობებში, რაც დამატებით შეუწყობს ხელს პროგრამის საერთაშორისო ხილვადობასა და კვლევითი პოტენციალის გაძლიერებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია საბაზისო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას სათანადოდ აღჭურვილ ფიზიკურ სასწავლო სივრცეებში. აუდიტორიები და სასწავლო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც მხარს უჭერს პროგრამის თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების განხორციელებას. არსებული ინფრასტრუქტურა საკმარისია დაგეგმილი სტუდენტური კონტინგენტის მომსახურებისთვის და უზრუნველყოფს სწავლა- სწავლების პროცესის უსაფრთხო და ეფექტიან განხორციელებას. მატერიალური რესურსების გამოყენება რეგულირდება დაწესებულების შიდა პროცედურებით.

სწავლებისა და სწავლის პროცესის განხორციელების მიზნით, მათ შორის დისტანციური სწავლების კომპონენტებისათვის, შესაბამის შემთხვევებში, დაწესებულება უზრუნველყოფს წვდომას Microsoft 365- ის (Teams) და Zoom-ის პლატფორმებზე. აღნიშნული სისტემები უზრუნველყოფს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის კომუნიკაციის, სასწავლო პროცესის განხორციელებისა და აკადემიური ინტერეაქციის უწყვეტობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრულ ძირითად ლიტერატურაზე როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმატით. დაწესებულებამ პროგრამისთვის საჭირო 52 განახლებული დასახელების ლიტერატურა შეიძინა (საერთო ღირებულება: 11 000 ლარი). ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს წვდომას Harvard Business Cases-ის რესურსებზე, მათ შორის მიმდინარე სემესტრის განმავლობაში შეძენილ 12 Harvard Business Impact Case-ზე. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის ფონდში წარმოდგენილია სახელმძღვანელოებისა და სასწავლო რესურსების უფრო ახალი და განახლებული გამოცემები, ვიდრე პროგრამის სილაბუსებშია მითითებული. ეს ადასტურებს დაწესებულების მზაობას, უზრუნველყოს თანამედროვე და რელევანტური აკადემიური რესურსების ხელმისაწვდომობა, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ასახავს დარგში არსებულ უახლეს განვითარებებს.

დაწესებულება უზრუნველყოფს წვდომას სწავლის სფეროსთვის რელევანტურ ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე. მათ შორისაა EBSCO, ProQuest, Scopus, ScienceDirect, Cambridge University Journals, SAGE Premier, Edward Elgar Publishing, IMechE Journals, e-Duke Journals Scholarly Collection, Open Edition Journals, European Respiratory Journals და Mathematical Sciences Publishers Journals. ProQuest- ზე წვდომა დაწესებულებამ 2024 წელს მოიპოვა, ხოლო EBSCO-ზე — 2025 წელს.

დაწესებულება უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის, საინფორმაციო რესურსებისა და ტექნიკური აღჭურვილობის უწყვეტ მოვლა- განვითარებასა და გაუმჯობესებას პროგრამის საჭიროებებისა და სტუდენტთა უკუკავშირის გათვალისწინებით. არსებული რესურსები საკმარისია და სათანადოდ უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულებაში ვიზიტი;
- საბიბლიოთეკო რესურსები

[რეკომენდაცები](#).

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი ეფუძნება ალტე უნივერსიტეტის ფინანსურ შესაძლებლობებს და ეკონომიკურად განხორციელებადია. იგი შემუშავებულია პროგრამის საჭიროებებთან შესაბამისობაში და მოიცავს შესაბამისი აქტივობების იდენტიფიცირებას, ასევე პერიოდული და ერთჯერადი დაფინანსების წყაროებს. პროგრამის ბიუჯეტის მდგრადობა უზრუნველყოფილია დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროებით, მათ შორის სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლებით და გარე წყაროებიდან მოზიდული დამატებითი ფინანსური რესურსებით. ეს უზრუნველყოფს დაწესებულების გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას და აკადემიური პროგრამების უწყვეტ განხორციელებასა და განვითარებას. ალტე უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ შეთავაზებული ყველა პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებასა და განვითარებას. დაფინანსების პროცესი შეესაბამება ინსტიტუციურ სტრატეგიულ პრიორიტეტებს და ხელს უწყობს სწავლების, კვლევისა და სტუდენტური მხარდაჭერის საქმიანობების ეფექტიან ფუნქციონირებას.

პროგრამის ბიუჯეტი სტრუქტურირებულია აკადემიური და ინსტიტუციური განვითარების ძირითადი მიმართულებების მხარდასაჭერად, მათ შორის: პერსონალის ანაზღაურება; საგანმანათლებლო რესურსების (მათ შორის ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების) შეძენა და მოვლა; აკადემიური პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობისა და სამეცნიერო პუბლიკაციების მხარდაჭერა, ასევე სხვა კვლევითი საქმიანობა; სტუდენტური კვლევითი ინიციატივების დაფინანსება; სტუდენტთა მოზიდვისა და სარეკლამო ღონისძიებების ორგანიზება; სპორტული, კულტურული, შემეცნებითი და სხვა კლასგარეშე აქტივობების მხარდაჭერა. ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს სტიპენდიებსა და სტუდენტური ფინანსური დახმარების სქემებს.

ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილია თვითშეფასების დოკუმენტაციის ფარგლებში და დაგეგმილია სამწლიანი პერიოდისთვის. ბიუჯეტი არის რეალისტური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შეესაბამება ინსტიტუციურ ფინანსურ დაგეგმვას. გამოყოფილი ფინანსური რესურსები საკმარისი და მდგრადია პროგრამის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საერთო ჯამში, პროგრამის ბიუჯეტი ადეკვატურად ფარავს სასწავლო პროცესის, კვლევითი საქმიანობისა და კლასგარეშე აქტივობების საჭიროებებს. არსებული ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებასა და ხარისხის უზრუნველყოფას, რაც განაპირობებს მის მდგრად განვითარებასა და ეფექტიან განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია პროგრამის ფინანსური მდგრადობის შესახებ;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის მენეჯმენტთან.

რეკომენდაცები.

- არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.5.პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ალტე უნივერსიტეტში შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმები განსაზღვრულია დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი შეფასება“, რომელიც ხელს უწყობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტეგრირებას უნივერსიტეტის მართვის ყველა დონეზე და შესაბამისად მოიცავს დაწესებულების შესაბამის სკოლებსა და სტრუქტურულ ერთეულებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მიმართულია სწავლა- სწავლების, კვლევის, მართვის ეფექტიანობის, საზოგადოებაში წვლილის შეტანისა და მხარდამჭერი სერვისების უწყვეტ გაუმჯობესებაზე. უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან შესაბამისობაში, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს კონკრეტული მიმართულებებისთვის განკუთვნილ შეფასების ინსტრუმენტებსა და ღონისძიებებს; აქტივობები იზომება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით, მათ შორის KPI- ებზე დამოკიდებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და ჩართულობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად უწყობს არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ხელს უნივერსიტეტის მიზნების მიღწევას და საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სემესტრულ და წლიურ გამოკითხვებს, რომელშიც ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე; მიღებული შედეგების ანალიზი გამოიყენება ეფექტიანი მონიტორინგის უზრუნველსაყოფად და განვითარების ტენდენციების იდენტიფიცირებისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამის შეფასება ხორციელდება თანმიმდევრულად და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA („დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – იმოქმედე“) პრინციპს.

პროგრამის შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რომლებიც თანამშრომლობენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და იზიარებენ მის პრინციპებსა და მექანიზმებს პროგრამის შიდა ხარისხის სათანადო შეფასების უზრუნველსაყოფად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას შეფასების კონსტრუქციული პროცესის უზრუნველსაყოფად; შესაბამისად, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ერთობლივად მზადდება, განსაკუთრებით აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური მონაწილეობით. ვინაიდან პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შეიძლება დადასტურდეს, რომ თვითშეფასების პროცესში ჩართული იყვნენ მონათესავე პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგები და ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია.
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- .სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სილაბუსების შეფასების სტანდარტიზებული შიდა საკონტროლო სია (checklist), რომელიც მკაფიოდ მოიცავს კონსტრუქციულ შესაბამისობას, შეფასების კრიტერიუმების სიცხადეს, შეფასების ვალიდურობას, აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასა და უკუკავშირის მექანიზმებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ალტეს უნივერსიტეტში გარე ხარისხის შეფასება ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების მეშვეობით, რომელსაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მართავს. უნივერსიტეტი განიხილავს მიღებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს, ხოლო შეფასების შედეგები შესაბამის სკოლებს ეცნობება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მიღებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს და ითვალისწინებს გარე ფორმატიული შეფასების შედეგებს.

უნივერსიტეტს ასევე აქვს პროგრამების პერიოდული შეფასების პრაქტიკა გარე ექსპერტების მონაწილეობით, მათ შორის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების გამოცდილებისა და მოსაზრებების აქტიური გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას როგორც აკრედიტაციის სტანდარტებთან, ისე დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან. პროგრამა დადებითად შეაფასეს კვიპროსის ღია უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა, მიუხედავად რამდენიმე უმნიშვნელო რეკომენდაციისა. აღნიშნული რეკომენდაციები შეეხებოდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დახვეწასა და მათი გაზომვადობის უზრუნველყოფას; ცალკეულ სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტების გაუმჯობესებას; აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობის გაძლიერებას; სასწავლო ლიტერატურის განახლებას; თავისუფალი არჩევითი კურსების რაოდენობის შემცირებას; პრაქტიკული კომპონენტების დანერგვას, მათ შორის პასიური, აქტიური და ინტეგრირებული პრაქტიკის ფორმატების გამოყენებას. ამავე დროს, ექსპერტებმა განსაკუთრებულად გაუსვეს ხაზი პროგრამის განვითარების პერსპექტივებსა და მის მნიშვნელობას დარგისთვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების თვალსაზრისით, პრაქტიკული უნარების განვითარებას, პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციასა და სწავლების მეთოდების ეფექტიანობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგები და ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია.
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

[რეკომენდაცები](#).

- არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.2.გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ალტეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს უწყვეტ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვების განხორციელების მთავარ საშუალებას. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება გამჭვირვალობისა და გაზიარების, ასევე თანამონაწილეობის, უწყვეტობის, აკადემიური კეთილსინდისიერების, თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს, სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. თუ სტუდენტთა პასუხების რაოდენობა დაბალია წარმომადგენლობითი შედეგების მისაღებად, მაშინ ტარდება ფოკუს ჯგუფები. საჭიროებებზე დაფუძნებული შეფასებითი გამოკითხვევი გამოიყენება პრიორიტეტებისა და გაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და შეფასებების შეგროვებას ყველა შესაბამისი წყაროდან. სასწავლო წლის ბოლოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე, ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკის გამოყენებით. ურთიერთდასწრება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც გამოვლინდება შედარებით დაბალი ან განსაკუთრებულად მაღალი შეფასების შედეგები. აღნიშნული მექანიზმი ემსახურება როგორც პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, ისე სწავლების ეფექტიანი პრაქტიკის გაზიარებას. აკადემიური პერსონალი წინასწარ არის ინფორმირებული პროცედურებისა და მონიტორინგის პროცესის შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სათანადო მომზადებას. ურთიერთდასწრების პროცესი ხორციელდება სტრუქტურირებულად და კოორდინირებულად, მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპებისა და პასუხისმგებლობების საფუძველზე, რაც მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, ხოლო პროგრამების მიხედვით დაყოფილი მონაცემები განიხილება შესაბამისი პროგრამის კომიტეტების მიერ. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის ეფექტიანობის შესაფასებლად და, საჭიროების შემთხვევაში, მისი მოდიფიცირებისა და გაუმჯობესებისათვის. კონკურენტუნარიანი პროგრამის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამის შედარებას საუკეთესო ხელმისაწვდომ პრაქტიკებთან. პროგრამის შემუშავების პროცესში გაზიარებული და გათვალისწინებული იქნა ერთი ქართული და ხუთი საერთაშორისო უნივერსიტეტის გამოცდილება, ასევე პარტნიორი დაწესებულების — მონპელიეს ბიზნესის სკოლის (MBS) — ექსპერტიზა. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესში შესწავლილი იქნა შემდეგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამები: საქართველოს უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო); ახალი ევროპული სკოლა (მიუნხენი, გერმანია); Goodman School of Business, Brock University (ონტარიო, კანადა); SBS Swiss Business School – ბარსელონას კამპუსი; ახალი ევროპული კოლექჯი; სტოკჰოლმის ბიზნესის სკოლა. შედეგად, გამოვლენილმა ტენდენციებმა პროგრამის განვითარებაზე

მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, ამიტომ იგი აერთიანებს საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკისა და მოთხოვნების საუკეთესო ელემენტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგები და ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია.
- ანალოგიური პროგრამებისა და გამოცდილების შედარება და ანალიზი;
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო სისტემურად გამოიყენოს კოლეგიალური დაკვირვებისა და სწავლების შეფასების პრაქტიკა, სწავლების ხარისხისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანმიმდევრულობის მხარდასაჭერად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია